№ 211

კვირა, 20 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 211

კვირა, 20 ნოემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაფ-ფასიანი წარმოდგენა ავლაბრის თეატრში.

კვირას, 20 ნოემბერს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

მეზობლები

სცენები გურულების ცხოვრებიდან 4 მოქმედ., ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლექავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ი. ქავიძე, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, კ. ჯაყელი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: 10 კ. 1 მ. 20 კაპ.

ხუთშაბათს სახაზინო თეატრში ვასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება ივ. გომართელის ახალი პიესა „ქოხში“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კვირას, 20 ნოემბერს,

დილის 10 საათზე, ნაძალადევში

დანიშნულია

სახალხო **მიტინგი**

გასარჩევი კითხვებია:

1) მოძრაობა სალდათებში.

2) კავშირების თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება.

3) ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.

ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

კვირას, 20 ნოემბერს, დილით, დაკლებულის ფასებით წარმოდგენილი იქმნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ. მუს. გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზბრუევისა, რუდინა, კარპოვა; ბ-ნნი სლავინი, კვლახოვი, ჩისტიაკოვი და სხვანი.

ბალეტის გამგე ბ-ნი ბეკეფი.

სამხედრო მუსიკა კავკასიის პირველ საპიორთა ბატალიონისა ბ-ნ რიხნერის გამგეობით.

დასაწყისი დილის $12^1/_2$ საათ.

კაპელმეისტერი ი. პ. პალიაშვილი.

მთავარი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

რადგანაც დილის სპექტაკლი საზოგადოდ დაკლებულ-ფასიანია, მოწაფეთა ბილეთები აღარ იქმნება.

საღამოთი

წარმოდგენილი იქმნება

ნერონი

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, ნოვოსპასკაია, კარრი, სარპოვა; ბ-ნნი დონსკოი, კარდინი, სოკოლსკი, დრაგული, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვა და სხვანი.

ბალეტის გამგე ბ-ნი ბეკეფი.

სამხედრო ორკესტრი კავკასიის პირველ საპიორთა ბატალიონისა ბ-ნ რიხნერის გამგეობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი დ. პ. შტეინბერგი

მთავარი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ბილეთები მოსწავლეთათვის ყოველ დღე ისყიდება „ლოკასიონის“ კასაში საღამოს $7^3/_4$ საათიდან.

ანონსი. ორშაბათს, 21 ნოემბერს, მეორედ წარმოდგენილი იქნება

გეიშა

სამშაბათს, 22 ნოემბერს, ქართულად

წარმოდგენილი იქნება

გურულთა სასარგებლოდ

სევილიელი დალაქი

ოთხშაბათს, 23 ნოემბერს

წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.

(20—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

კვირას, 20 ნოემბერს, ნაძალადევში

დანიშნულია

მკერვალ ქალთა და ვაჟთა

საერთო მიტინგი

ტფილისის სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 1905 წ. 22 ნოემბერს

ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ,

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ანდრეევსკაია, მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, აგასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.

ოპერის ლოტბარი იქმნება ნ. გ. ქართველიშვილი.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, ბ-ნნი: დონსკოი, კოლოტოვი, სოკოლსკი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.

ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციაში და ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ივ. გომართლის ახალი პიესა

ქოხში

წარმოდგენილი იქნება

ვ. აბაშიძის საბენეფისოდ

ხუთშაბათს, 24 ნოემბერს.

პირველ დეკემბრიდან გამოვა

ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„სხივი“

ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.

რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ-დემოკრატია, და მედგრად გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.

გაზ. „სხივი“ წელიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.

რედაქციის დროებითი ადრესი: „მოგზაურის“ რედაქცია, ნიკოლოზის ქ. № 44.

დღეს, 20 ნოემბერს, გამოვიდა პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატიული გაზეთისა

Кавказскій рабочій листокъ

ქართველ მასწავლებელთა კრება

ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში, **დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება.** კრების მიზანია—დაარსება ქართველ პედაგოგების საზოგადოებისა, რომელმაც ახალის პროგრამით უნდა მოაწყოს ქართული სკოლა.

ძლიერ სასურველია—კრებას ყველა პედაგოგები დაესწრონ. 2—2

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

უ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. მძლევრიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. $7—7^1/_2$ საათ.

ს. აბიანცი—შინაგან ავადმყ. $7—7^1/_2$ საათ.

მ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე ა. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

საპროფესიო კავშირები

მკითხველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიგებს იმ მოქალაქობრივ უფლების პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომელსაც შეკავშირების თავისუფლება ეწოდება, თუ იგი საკმაოდ ჩახედულია თანამედროვე სოციალურ ურთიერთობაში და იცის, რა როლი და ადგილი უკავია მშრომელ ხალხს საზოგადოებრივს წარმოებაში. შეკავშირების თავისუფლება ისეთი უფლებაა, ურომლისოდაც მუშა ხალხს არ შეუძლიან თავის ინტერესების დასაცავად ბრძოლა, არ შეუძლიან არსებულ წარმოების წყობილებაში გავლენის მოპოვება და თავის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უფლებრივი ურთიერთობა იურიდიულად თავისუფალ ადამიანთა მოქმედებაზეა დამყარებული. კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობაში ადამიანებს ესრედ წოდებული „თავისუფალი ხელშეკრულობა“ აკავშირებს და ამოქმედებს ერთად. კაპიტალის პატრონს არ შეუძლიან წარმოება გამართოს და წარმართოს, თუ მან მუშაობის მსურველნი არ მონახა და სამუშაოდ არ დაიქირავა. მეორე მხრივ, მუშასაც, რომელსაც საწარმოო იარაღები არ მოეპოვება, არ შეუძლიან წარმოების დაწყება და სხვისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება, რადგან თანამედროვე წარმოება უკაპიტალოდ,—უიარაღოდ,—არ მოხერხდება, ხოლო ეს კაპიტალი კი მუშას არა აქვს და ამიტომ იგი იძულებულია კაპიტალისტს მიმართოს და მის წარმოებაში ქირაზე იმუშაოს. თუმცა, ამგვარად, „თავისუფალი ხელშეკრულობა“, რომელსაც სდებენ ერთმანეთს შორის მუშა და სამრეწველო დაწესებულების პატრონი, ნამდვილ, რეალურ თავისუფლების ნიადაგზე არაა აღმოცენებული, მაგრამ მას მაინც იურიდიულად „თავისუფალი“ ჰქვია, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროლეტარიც და მილიონერიც თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან და მეორეს პირველის დაქირავება არ შეუძლიან, თუ მან თვითონ ამისი სურვილი და თანხმობა არ განაცხადა.

მაგრამ ეს თავისუფლება, როგორც უკვე ვთქვით, ფიქტიურია, ნამდვილი არაა, რადგან მუშას, ვითარცა საწარმოო იარაღთა არ მქონეს, აუცილებელი გარემოება აიძულებს კაპიტალის პატრონთან წავიდეს და მასთან შრომის პირობებზე იურიდიულად თავისუფალი, მაგრამ ფაქტიურად უთავისუფლო ხელშეკრულობა დაიჭიროს.

ასეა საქმის გარემოება კაპიტალისტურს წესწყობილებაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მუშა ხალხს უფლება შეკავშირებისა. შეკავშირების თავისუფლების დროსაც მუშა კაპიტალისტად ვერ გადაიქცევა და მის ადგილს ვერ დაიჭერს წარმოებაში. მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი თავისუფლება არ არსებობს და მუშა ხალხს არ შეუძლიან ლეგალურად შეკავშირება თავის ინტერესების დასაცველად, იგი სავსებით მრეწველ-კაპიტალისტის ხელშია და სავსებით და შეუკვეცელად განიცდის მის სოციალურ ძლიერებას. თითოეული მუშა ცალკე, სხვებთან შეუკავშირებლად და შეუერთებლად, ისეთ სუსტ ძალას წარმოადგენს, რომ მრეწველს, რომელიც უმთავრესად თავის მოგებაზე ფიქრობს და ამიტომ იაფ მუშა ხელის შოვნას ცდილობს, ყოველთვის შეუძლიან, მას შრომის ისეთი პირობები მიაღებინოს და ისეთ გარემოებაში ამუშაოს, სადაც ადამიანის ექსპლოატაცია უკიდურესობამდის იქნება მიღწეული. თუ მუშა იმ პირობებს არ დაკმაყოფილდება, რომელსაც მრეწველი დაუდებს, უკანასკნელი ყოველთვის იპოვის სხვას, უფრო გაჭირვებულს, რომელიც ძაღლურ ცხოვრებას არჩევს შიმშილით სიკვდილს.

ამიტომაა, რომ მუშას არას გზით არ შეუძლიან თავის ინტერესების დაცვა და შრომის ცოტათ თუ ბევრად ხელსაყრელ პირობების მოპოვება, სანამ იგი განცალკევებულია და სხვებთან სოლიდარულად შეერთებული არაა. საპროფესიო კავშირში ყოფნა მუშას საშუალებას აძლევს, რეალურად ცოტათი მაინც თავისუფალ ადამიანის მოქმედების ხასიათი მისცეს იმ ხელშეკრულობას, რომელსაც იგი ჰკრავს თავის დამქირავებელთან. ამ შემთხვევაში, შრომის პირობების დადგენის დროს, კაპიტალისტის წინაშე სდგანან არა განცალკევებულ დაქსაქსული მუშები, არამედ—ერთს ორგანიზაციაში შეერთებულნი, რომელნიც სოლიდარულად იცავენ თავიანთ მოთხოვნილებას და ცდილობენ თავიანთთვის შრომის ვითარების გაუმჯობესებას.

ადვილი გასაგებია ამიტომ, რომ ჩვენშიაც, როგორც კი დაკანონდა შეკავშირების თავისუფლება, მშრომელმა ხალხმა ხელი მიჰყო საპროფესიო კავშირების შედგენას და შეუდგა თავის ეკონომიურ მდგომარეობაზე ზრუნვა-საქმიანობას. თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი საპროფესიო კავშირები არსდება და ორგანიზაციები სდგება. უეჭველია, რაც დრო გავა, მით უფრო ამგვარ ორგანიზაციათა რიცხვი გამრავლდება, რადგან ამისი საჭიროება თვით ცხოვრებისაგან არის გამოწვეული.

ამ მხრივ ბევრ რამის სწავლება შეუძლიან ჩვენთვის ევროპას, სადაც დიდის ხნიდან არსებობს აურიცხელი საპროფესიო კავშირები და ორგანიზაციები მუშებისა. ამიტომ ჩვენ შემდეგ წერილში ევროპას მაგალითებს მოვიხსენებთ და საპროფესიო კავშირების არსებით მხარეს მკითხველს უფრო დაწვრილებით გავუთვალისწინებთ.

კიდევ ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების შესახებ

უეჭველია, მკითხველები ყურადღებას მიაქცევენ გაზეთებში გამოქვეყნებულ მოწოდებას ქართველ მასწავლებელთა მიმართ. ორშაბათ საღამოს დანიშნულია მასწავლებელთა კრება, რომლის მიზანია ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების დაარსება.

დიდი ხანია, სოფლის მასწავლებლებმა შეიგნეს საზოგადოების დაარსების საჭიროება. ჯერ კიდევ ათი წლის წინად ქუთაისში შეიკრიბნენ სოფლის მასწავლებლები. კრებამ გამოარკვია, რომ მასწავლებელი განსაკუთრებით გონებრივის მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია: მას არ ძალუძს გონებრივი საზრდო მოიპოვოს, არ შეუძლიან ხეირიანი წიგნები შეიძინოს, ღონე არ შესწევს გაბატონებულ ძალმომრეობას ებრძოლოს. ამასთან ისიც გამოირკვა, რომ სოფელი მეტად უნუგეშო ყოფაშია გონებრივი განვითარების მხრივ: არ მოიპოვება სამკითხველოები, არაა წიგნები, არ იმართება საუბრები და სხვ. მაშინ სოფლის მასწავლებლებმა გადასწყვიტეს დაეარსებინათ მასწავლებელთა საზოგადოება, რომელიც კულტურულ მუშაობისათვის დაქსაქსულ ძალებს თავს მოუყრიდა და საერთო ძალღონით სისტემატიურად იმუშავებდა, როგორც თავის წევრების გასავითარებლად და გასამხნევებლად, ისე ხალხში ცოდნის გასავრცელებლად. გარდა ამისა, გადასწყვიტეს, საზოგადოებისათვის მიემართნათ დასახმარებლად, რომ ხალხში გასავრცელებლად წიგნები მიეწოდებინათ მასწავლებლებისათვის.

მართლაც, ქუთაისში შესდგა პატარა წრე, რომელიც სისტემატიურად აგროვებდა ფულს, რამდენსამე მასწავლებელს კიდეც გაუგზავნეს წიგნები. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმემ ვერ იხეირა, და ეს მოსალოდნელიც იყო. ჯერ ერთი—ქუთაისში საჭირო იყო ცენტრალურ ბიუროს არსებობა, რომელიც სოფლის მასწავლებელთ მხარს დაუჭერდა. ხოლო ასეთ ბიუროსათვის ხსენებულ ქალაქში შესაფერი ხალხი არ მოიპოვებოდა. უფრო უზრუნველყოფილი მასწავლებლები გაურბოდნენ ყოველ საზოგადოებრივ დაწესებულებას, რათა მთავრობას მათზე რაიმე ეჭვი არ აეღო. მეორე,—მასწავლებლებს არა ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკურ-სოციალური პროგრამა, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა ხალხში ფართო პროპაგანდა გაემართათ და თავისკენ მიემხროთ, თავიანთი მოქმედება ხალხის თანხმობაზე, მის ძალასა და შეგნებაზე დაემყარებიათ. ამას უნდა დავუმატოთ მასწავლებელთა უმრავლესობის მოუმზადებლობა და შეუგნებლობა საერთო მოქმედების საჭიროებისა.

ამნაირად, დაწყებულმა საქმემ ვერ იხეირა. დღეს კი გარემოება ძირიანად შეიცვალა. თვით ხალხი ამოძრავდა. მასწავლებლები—ზოგი ნებით, ზოგი უნებლიეთ—იძულებულნი გახდნენ ხალხის გავლენას დამორჩილებოდნენ, საერთო დემოკრატიულ მოძრაობისათვის მხარი მიეცათ და ხალხის მოთხოვნილებისამებრ ემოქმედნათ. ამ საერთო მოძრაობამ ჩაითრია როგორც სოფლის, ისე ქალაქის მასწავლებლები.

გარემოების შეცვლას მოჰყვა მასწავლებელთა ტაქტიკის შეცვლაც. უმრავლესობა პარტიულ ბრძოლაში ჩაერია და ამა თუ იმ პარტიის წევრი გახდა. რასაკვირველია, ამით მასწავლებლის, როგორც საზოგადოების წევრის, პოლიტიკური მოქმედება განისაზღვრა. ის პარტიაში შესვლით ვალდებული ხდება, ამ პარტიის მოთხოვნილების მიხედვით იმოქმედოს. ეს გარემოება მასწავლებელთა კრებულს ანაწილებს პარტიების მიხედვით. მაგრამ ამავე დროს ყოველი პარტია დაინტერესებულია, ძველი სკოლა ძირიანად აღმოფხვრას და დაამყაროს ახალი სკოლა, ახალ მოქალაქობრივ ნიადაგზე დაფუძნებული, ხალხის ინტერესებთან შეთანხმებული.

ჩვენ ამ მხრივ განსაკუთრებული მუშაობა მოგველის. ძველ რეჟიმის სკოლა ერთი მხრით უარმყოფელია დემოკრატიულ მისწრაფებათაის გონებრივ დაბნელების დაწესებულებაა. ახალი სკოლა დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით უნდა მოეწყოს. ხოლო ამ პრინციპების განხორციელება მოითხოვს, რომ სკოლაში, სხვა საერთო სიდუხჭირესთან ერთად, მოისპოს ის გადაგვარების სისტემაც, რომელიც დღემდის მეფობდა. ამ სისტემის მოსპობას უნდა მოჰყვეს სკოლებში დედაენის გამეფება. აი, ამ საქმისათვის ჩვენ სრულიად მოუმზადებელი ვართ: არ შესწევს შესაფერი მომზადება მასწავლებელს, რომელიც ძველ სკოლაში აღიზარდა, არა გვაქვს შესაფერი სახელმძღვანელოები, არ მოგვეპოვება საკმარისად საკითხავი წიგნები. გარდა ამისა, სკოლების რიცხვი მეტად მცირეა. ზოგ ადგილას წერა-კითხვა თითქმის სრულიად არ იცის ხალხმა.

საქმის ამნაირი ვითარება გვავალებს, შევერთდეთ ერთ საზოგადოებად, რომ საერთო ძალით განვახორციელოთ ხალხის სამართლიანი კულტურული მისწრაფებანი. სამუშაო და გასაკეთებელი საქმე მეტად ბევრი და დიდ-მნიშვნელოვანია. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ჩვენგანი ჯეროვანად დააფასებს დღევანდელ მომენტს და გაორკეცებულის ენერგიით ხელს მოჰკიდებს ხალხისათვის საჭირო კულტურულ მუშაობას.

პ. სურგულაძე.

კიდევ ავტონომია

თვითმპყრობელობის მოსპობაში დაინტერესებულნი არიან საზოგადოების ყველა ჯგუფები და კლასები. კერძოდ ამაში დაინტერესებულია გლეხობა და თავად-აზნაურობაც. მაგრამ ერთია ინტერესის არსებობა და მეორეა ამ ინტერესის შეგნება. როცა „ივერიის“ ჩემს პირველ ფელეტონში (№ 147) ვეხებოდი ამ საგანს, ვწერდი: ჩვენი თავად-აზნაურობა იმდენად არის გონებრივად დაქვეითებული, რომ იგი უკან ჩამორჩენია რუსის თავადობასაც, რომელიც დღეს გადაჭრით შემდგარა ოპოზიციონურ გზაზე და გადაჭრით აცხადებს თავის სადღეისო პოლიტიკურ მოთხოვნას. ამ სიტყვების შემდეგ იმავე ჩემს ფელეტონში მზრუნველ ცენზორის მიერ დასმულია მრავალი წერტილები. ამ წერტილების ადგილი ეხებოდა ჩვენი თავადობისაგან შავი რაზმების შედგენას, შუამდგომლობის აღძვრას და ადრესების გზავნას, „სადაც ჯერ არს“. მრავალ წერტილებს მოსდევს ასეთი განმარტება: „მართალია, ჩვენს თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველ, გამათახსირებელ წოდებრივ აზროვნებისათვის; მართალია, იმათ

ეროვნული

კრებებზე, იმათ თათბირზე გვესმის სამარცხვინო, თავის მომჭრელი მსჯელობა, გულ-გონების ალაშფოთებელი სიტყვები; მართალია ყველა ეს, —მაგრამ, ისიც კი მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს, მცირეს,—რა თქმა უნდა,—უკვე გამოუფხიზლნია და ცდილობს სათანადო მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე მოძრაობაში".

ამ ციტატის მეორე ნახევარი ბ-ნ მახარაძეს თავისს სტატიაში „პირდაპირობა და ორჭოფობა" („მოგზაური" № 40) მოჰყავს შემდეგნაირის შემოკლებით და განმარტებით: „მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს—უმცირესობას, გამოუფხიზლნია, და სხვ. ახლა ვიკითხოთ: რისთვის ღალატობს ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ან ლოღიკას, ან ფაქტებს! რისთვის ამახინჯებს იგი სინამდვილეს, რისთვის შემდგარა ასეთ ყალბ გზაზე? ყველა ამ კითხვებზე პასუხს იძლევა წერილის უკანასკნელი სიტყვები (ვისი წერილის? რომელი სიტყვები? ვლ. დ.). როგორც მოგეხსენებათ, იმერ-ამერის თავად-აზნაურობამ ამ წლის გაზაფხულზე „უქვეშევრდომილესი ადრესებით ქართველი ერის სახელით ითხოვა საქართველოს ავტონომია. და აი, მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა საერთოდ და ერთხმად დაჰგმეს ქართველ ბურჟუაზიის წარმომადგენლების ოინბაზობა, მათი გაიძვერობა, ორგულობა, ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი, ეს მუშა ხალხის ვითომდა დამცველი, გამოდის და ხმამაღლა გაიძახის: „აი ასე მსჯელობენ და მოქმედებენ (იგულისხმეთ ავტონომიის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა! ფ. მ.) ჩვენი თავად-აზნაურობის გონებრივად ჭეშმარიტი „თავადნი", ზნეობრივად ჭეშმარიტი აზნაურნიო".

ამგვარად, ბ-ნი მახარაძე ირწმუნება, რომ მე მხარს ვუჭერ ჩვენს თავად-აზნაურობას, რადგან იგი თხოულობს „უქვეშევრდომილეს ადრესებით" საქართველოს ავტონომიას. საბოლოოდ ანგარიშით გამოდის, რომ მე, მუშათა პარტიის მიმდევარი, ხალხს ვეუბნები: გზა ყველა შენის სურვილებისა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად „უქვეშევრდომილესი ადრესები" არისმეთქი.

მერე საიდან ამოიკითხა ეს ყველაფერი სწორუპოვარმა ბ-ნმა ფ. მახარაძემ? იგი ირწმუნება, რომ ეს ყველაფერი გამოთქმულია ჩემი ფელეტონის უკანასკნელ სიტყვებში. ამ სიტყვებს იგი არ ასახელებს, რადგან აზრადა აქვს განაგრძოს ჩემს შესახებ „ლექციების" წერა და იმ სიტყვებს პირის ჩასაგემრიელებლად ინახავს. მაგრამ მე დავუჩქარებ ამ სიამოვნებას და ეხლავე დავასახელებ იმ საიდუმლო სიტყვებს. ჩემ ფელეტონის ბოლოში, სხვა პოლიტიკურ მოთხოვნათა შორის, წამოყენებულია: „საკანონმდებლო თვითმართველობა დაჩაგრულ ეროვნებათა, **თანახმად ამავე ეროვნებათა სურვილებისა**". ბ-ნ მახარაძეს ამ სიტყვებში, ნებსით თუ უნებლიეთ, დაუნახავს ღალატი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამისადმი. კარგად ვიცი, რომ წინააღმდეგს მე მას ვერ დავანახვებ ვერავითარ არგუმენტებით, და მე ამ ჩემს წერილებში არცა მაქვს აზრად ბ-ნ მახარაძის „მოქრისტიანება". მე მხოლოდ მინდა „მოგზაურის" მკითხველებს თავიდან ავაცილო შეცდომაში შესვლა. ამიტომ განვმარტავ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროგრამა ეროვნულ საკითხის შესახებ ამბობს: „დაჩაგრულ ეროვნებათ უნდა მიენიჭოს სრული უფლება ეროვნულ თვით-გამორკვევისა". როგორც ჰხედავთ, სოციალ-დემოკრატიული პარტია ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას უმორჩილებს თვითონ ერის სურვილს. თუ, მაგ., ერის სურვილია საკანონმდებლო თვითმართველობა (ავტონომია), სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერს ავტონომიას, და ან, თუ ერი ითხოვს სრულ განცალკევებას სახელმწიფოსაგან, პარტია მომხრე იქნება სეპერატიზმისა; ერთის სიტყვით, ერის სურვილი იქნება ს.-დ. პარტიის კანონი.

აი, სწორედ ასევე ვუყურებ საკითხს ჩემს ფელეტონში. ზემოხსენებული ჩემი სიტყვები განმეორებაა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის დასახელებულ პუნქტისა, იმ განსხვავებით, რომ მე ამ პუნქტს რამოდენადმე ვსაზღვრავ (იქნება ბ-ნ მახარაძეს ეს არ მოსწონს იმიტომ, რომ თვითონ მომხრე იყოს სეპერატიზმისა?) და ვამბობ: საკანონმდებლო თვითმართველობა, უკეთუ ასეთი იქნება ხალხის (ერის) სურვილი. როცა ჩემს ფელეტონს ვწერდი, არ ვიცოდი, როგორი იყო ეროვნულ საკითხზე ხალხის სურვილი, და ამიტომ არ დავასახელე არც საქართველოს ავტონომია, არც კავკასიის ავტონომია. ერის სურვილი დაბეჯითებით არც დღეს არის გამორკვეული, რადგან ჯერ არ მომხდარა ამ საკითხზე რეფერენდუმი (ხალხის შეკითხვა და ხმების შეკრება).

მაგრამ, თუ ჯერ მათემატიკურად არ გამოკვლეულა, როგორი არის ხალხის სურვილი, ეს კიდევ საბუთი არ არის იმისა, რომ თითოეულ ჩვენგანმა აზრი და შეხედულება არ იქონიოს იმ საკითხზე, რაიც ცხოვრებამ წამოაყენა, რაზედაც თათბირობენ საზოგადოებაში, კრებებზე, პრესსაში. აი, ამიტომ, მე არ შევუშინდი ბ-ნთ მახარაძეებს და, როცა გარემოებამ მოიტანა, ჯერ საერობო კრებებზე და მერე პრესსაში საქვეყნოდ გამოვთქვი, რომ პრინციპიალურად ვემხრობი კავკასიის საერთო ავტონომიას.

მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ვემხრობი საქართველოს ავტონომიას. ნუ თუ აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მე ამით მხარს ვუჭერ ჩვენის თავად-აზნაურობის უმაღლეს შუამდგომლობას და „უქვეშევრდომილესს ადრესებს"?! რაიმე ეროვნულ თუ პოლიტიკურ მოთხოვნათა და შუამდგომლობა-„უქვეშევრდომილეს ადრესებს" შორის ხომ იმდენივე მანძილი არის, რაც ჭკუათა-მყოფლობასა და ჭკუაშეშლილობას შორის.

ბ-ნი მახარაძე კი პირდაპირ და ნიშნობლივ ასახელებს, რომ მე ვღალატობ ლოღიკას, ფაქტებს, ვამახინჯებ სინამდვილეს, შევმდგარვარ ყალბ გზაზე სწორედ იმიტომ, რომ „იმერ-ამერის თავად-აზნაურობამ ამ წლის გაზაფხულზე „უქვეშევრდომილესი ადრესებით ითხოვა საქართველოს ავტონომიაო" *).

თეორიულ მსჯელობასაც რომ თავი დავანებოთ, საკმაოა ადამიანმა გაიხსენოს ჩვენი რუსეთთან დამოკიდებულების წარსულის მწარე გამოცდილებანი, ჩვენი „მამების" მთელი „პოლიტიკა" და მისი შედეგები, საკმაო არის ესეც, რომ არ დაადგეს „ადრესების" გზას. მართლაც, ვისთვისღა არის დღეს დაფარული, რომ, თუ მთავრობა—როგორც სამართლიანად სწერდა წასულ გაზაფხულზე ერთი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე იქაურ ჟურნალში—„ქართველობას სისტემატიურად ისე უყურებს, თითქოს ისინი ქვეყანაზე აღარცკი არსებობენ"—ვისთვის-ღა არის დაფარული, რომ ამის ერთი თვალსაჩინო მიზეზი არის სწორედ „ადრესების პოლიტიკით" სიარული?

ერთის სიტყვით, რა მხრივაც უნდა შევატრიალოთ საქმე, ცხადია, მე არ შემეძლო „ადრესებს" გამოვსარჩლებოდი. მაშ ბ-ნმა მახარაძემ საიდან გამოატყვრინა ასეთი მძიმე ბრალდება? ამისი განსჯა მიმინდვია თვითონ მკითხველისათვის.

ვლ. დარჩიაშვილი.

P. S. მე რომ ზემოდ აღნიშნულ ცილის წამებას შევხებოდი ჩემს პირველ საპოლემიკო წერილში, უსათუოდ ვიტყოდი, რომ აქ ჩემს „კრიტიკოსს" გალლიუცინაციები დამართნია-მეთქი. თავისთავად ცხადია, რომ, როცა მე ჩემს მოკამათეს ვუწოდე „სულით ავადმყოფი", ამით არ მინდოდა მეთქვა, რომ იგი ჭკუაზე შეშლილია. სულით ავადმყოფია ის ადამიანიც, ვინც ყველგან და ყველაფერში ნორმალურია, მხოლოდ, როცა საქმე შეეხება ერთს ანუ რამდენსამე საკითხსა თუ პიროვნებას, იგი ჰკარგავს ჩვეულებრივ საღ მსჯელობას და მის ცნობიერებას ბინდი ეფარება. ასეთია სხვადასხვა გვარი მანია. აი, ამ კატეგორიას ვაკუთვნებდი ჩემს მოკამათეს. მანიით შეპყრობილი ადამიანი შეიძლება იყოს შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, შეიძლება იყოს სახელოვანი არტისტი, მემუსიკე, ჟურნალისტი და სხ.

გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ცნობილი ანტროპოლოგი—კრიმინოლოგი ჩეზარე ლომბროზო, ადარებს რა შეშლილობასა და გენიოსობას, გასაშტერებელ მსგავსებას ჰხედავს მათ შორის.

დასკვნა აქედან მკითხველისათვის ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში ნალაპარაკევს თუ დაწერილს კრიტიკულად უნდა განიხილავდეს, რომ ტრადიციებსა და ავტორიტეტებს (დიდი იქნება, თუ პატარა) ჩვენს დროში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ერთიც და მეორეც წარსულს უნდა გადავულოცოთ.

ვლ. დ.

რუსეთის კონსტიტუცია.

რუსეთ-იაპონიის საზარელმა ომმა რუსეთის ცხოვრებას ზეწარი მოგლიჯა და შავ-ბნელი სურათი გამოაჩინა. ქონებრივად გალატაკებული და პოლიტიკურად დამონავებული ხალხი ისეთ მძიმე ტვირთს ველარ უძლებდა, როგორიც არის თვითმპყრობლობა და მილიტარიზმი, და წელში სწყდებოდა. მთავრობას ეგონა, რომ ხალხი ყოველთვის მოთმინებით აიტანდა შევიწროებას, და განაგრძობდა თავის პოლიტიკას. მაგრამ პოლიტიკურმა კოკამ აქ წყალი აღარ მოიტანა,—ხალხი აღსდგა და სასტიკი ომი გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რომელიც ვითომ რუსეთის დიდებისა და ბედნიერებისთვის იპყრობდა შორეულ ქვეყნებს და გროშობით შინ მოგროვილ მილიარდებს გარედ ბზესავით აბნევდა.

მიხვდა, დარწმუნდა თვითმპყრობელობა, რომ მას ბოლო ელება, თუ რომ გარედ ომი არ შესწყვიტა და საჩქაროდ შინაურ ომს არ დაუბრუნდა. და სწორედ ამ განზრახვით ზავის ჩამოგდება გადასწყვიტა და აჩქარა.

გრაფის ტიტულით ჯერ არ გაბრწყინებული ვიტტე ამერიკას რომ მიემგზავრებოდა, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ზავი დაიდებოდა, სულ ერთია, რა პირობითაც უნდა ყოფილიყო, და ასეც მოხდა. პირველად ძალიან ყოყლოჩინობდა მომავალი გრაფი, თითქო მოლაპარაკებაც კი შესწყვიტა და წარმოსვლას ემზადებოდა, მაგრამ ამით რუსეთის ხალხს უფრო ატყუებდა, ვიდრე შეგნებულ-განვითარებულ იაპონელებს და, მეტადრე, მათ საუკეთესო დიპლომატიას. ბოლოს ვიტტემ ვითომც „საპატიო" პირობებზე დაითანხმა იაპონიის დიპლომატები და ზავი შეჰკრა.

სწორედ ამ დროს რუსეთის ბიუროკრატიამ გამოაცხადა 6 აგვისტოს მანიფესტი სახელმწიფო სალაყბოს დაარსებისა. ამ სალაყბოს დაარსებას ორნაირი განზრახვა ედო სარჩულად: რუსეთის აბობოქრებული მუშა ხალხი და ინტელიგენცია უნდა დაეშოშმინებინა და ამავე დროს უცხოელები მოეტყუილებინა! მაგრამ ამ „რეფორმამ" ვერავინ დააკმაყოფილა. პირიქით, ყველანი უფრო აშფოთდნენ, რადგან რუსეთის ბიუროკრატია წინადაც ბევრ რამეს ჰპირდებოდა ხალხს და ეხლა მხოლოდ ეს ქაღალდის ნაგლეჯი გადმოუგდო. ასტყდა უფრო ცხარე და მედგარი ბრძოლა.

მთავრობა, გარედ რომ ზავის ჩამოგდებას აპირობდა, შინ უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, კაზაკის რაზმებს და პოლკებს ამზნევებდა და ხულიგანების ბრბოებს აგროვებდა, აწყობდა. იმედი ჰქონდა, რაკი გარედ ომს მორჩებოდა და სესხით ზურგს მოიმაგრებდა, შინაურ „მტრებს"—მუშა ხალხს ადვილად დაიმონავებდა და წინანდებურად ისევ იპარპაშებდა. მაგრამ მოლოდინი სულ გაუცრუვდა: შინ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი თავგანწირულად იგლიჯებოდა და ქვეყანა კი მაინც არ წყნარდებოდა. გახელებულმა ბიუროკრატიამ თითქმის მთელ სახელმწიფოში სამხედრო წესები შემოიღო, მშვიდ, უიარაღო ხალხს აღარსად ზოგავდა, ჯარი და კაზაკები ტყვია-ყუმბარებს უშენდნენ ყველას, სადაც კი ორიოდე კაცი შეიყრებოდა. ამ სიმკაცრითა და სისხლით ბიუროკრატიას უნდოდა ხალხი დაეფთხო და მოსაჩვენებელი სიწყნარე მაინც ჩამოეგდო, რომ გარედ საქმეები დაემთავრებინა.

მუშა ხალხი მაინც მტკიცედ იდგა და გულგადაღეღილი ტყვია-ყუმბარას მკერდს უშვერდა—რაც მეტი გაწყდება, მით უფრო ადრე მოეღება ბოლო სისხლის მსმელ ბიუროკრატიას, ტრეპოვშირინკინებსო.

მუშა ხალხი გაერთიანდა, პირი შეჰკრა, გაიფიცა. რუსეთის ცხოვრება შეჩერდა, შესწყდა...

ასე იყო 17 ოქტომბრამდე.

მოსალოდნელი იყო, რომ რუსის ბიუროკრატია მუქარას აასრულებდა და, მართლაც, ტყვიაწამალს არ დაზოგავდა, ერთხელ კიდევ ლაზათიანად სისხლით გულს მოიოხებდა. მოსალოდნელი იყო ეს და კიდევაც მოხდებოდა, მთავრობას რომ ძალა შერჩენოდა, საერთო გაფიცვას რომ იგი არ გაეტეხა და არ შეეშინებინა. ტრეპოვმა ვერ შეასრულა თავისი მუქარა და რუსეთმა 17 ოქტომბრის მანიფესტი მოიპოვა.

სანატრელ სიტყვებით მოხიბლულ ხალხს ერთ წამს დაავიწყდა, ვისთან აქვს საქმე, და განუსაზღვრელ სიხარულს მიეცა.

მთავრობასაც სწორედ ასე უნდოდა. გამოცხადდა თუ არა მანიფესტი, საზღვარ გარედ მოსყიდულმა გაზეთებმა დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, რუსეთი ეხლა კი ნამდვილად დაადგა რეფორმების გზას და, არიქათ, მხარი მიეცით, ფული მიაშველეთო. მაგრამ ევროპა-ამერიკის ათასნაირად გამოქნილი ბანკირები ეგრე ადვილად ვერ მოსტყუვდნენ და ცალიერ სიტყვებს, მეფისაც რომ იყოს, ბრილიანტის ფასად არ მიითვლიდნენ,—ჯერ საქმით ვნახოთ სახელმწიფოს დაწყნარება, და სესხის მიცემა რაში გვეჩქარებაო.

აღგზნებულ ცეცხლს ფინლანდიამაც ნავთი გადაასხა.

სხვა დრო ყოფილიყო, კი იცოდა რუსეთის ბიუროკრატიამ, რა დღესაც დააყენებდა ამ სამთავროსა და თავისუფლების მოყვარულ, შეგნებულ და განვითარებულ ხალხს! რაც წინად დააკლო, მეტადრე ალექსანდრე მესამის გამეფების დღიდან, იმას ერთბაშად შეუსრულდება. გუშინ არ იყო, მთავრობა სამხედრო წესებით რომ განადგურებას ემუქრებოდა? ეხლა თვით ფინლიანდია, იარაღით ხელში, საომრად იწვევდა უზარმაზარ რუსეთს და მთავრობამ არა თუ რეპრესიების ხმარება ვერ გაბედა, არამედ ყველაფერში დაუთმო ფინლიანდიას და მისი უფლებები მანიფესტით დააკანონა. რა უნდა იყოს ამ დათმობის მიზეზი?

უეჭველია, ისევ ის გაჭირვება ფულის მხრივ, რომელსაც განიცდის მთავრობა, და ამისთვის ცდილობს საზღვარ გარეთ სესხის მოპოვებას.

ვერც ფინლანდიის დაწყნარებამ უშველა რუსეთის ფინანსებს. ახლა უფრო საზარელი ამბავი დატრიალდა—მთავრობისაგან დარაზმულ ხულიგანებმა და კაზაკებმა ქვეყანა აიკლეს.

სხვა დროს მთავრობას გაუხარდებოდა ხულიგანების ძლევამოსილი თარეშობა, საბუთად გამოადგებოდა უთავბოლო მანიფესტის მოსასპობად—თვით ხალხია მოწადინებული, რომ რუსეთში თვითმპყრობელობა არსებობდეს, არა თანხმდება მეფის განუსაზღვრელ უფლებათა შეკვეცასო. მაგრამ ეს გარემოებაც ველარ გამოიყენა, რადგან სხვა მწვავე დარდიც აწუხებდა:

ისევ ის გასაოხრებელი სესხი, რომელსაც არავინ იძლევა, ვიდრე სახელმწიფო არ დაწყნარდება.

რა დაწყნარებაა, როდესაც ხულიგანები თარეშობენ და სახელმწიფოში მშვიდად აღარავის ეცხოვრება! მხოლოდ ამ მოსაზრებამ აიძულა რუსეთის მთავრობა,—ხულიგანების ავაზაკობა დროებით შეეჩერებინა და, მოსაჩვენებლად, მტკიცე განკარგულება მოეხდინა.

ახლა ჯარმაც აიმაღლა ხმა, მოიჩვავდა დიდის ხნის უკმაყოფილება. სალდათებიც ადამიანები არიან, და არა პირუტყვები, როგორც აქამომდე დიდ ბობოლებს მიაჩნდათ. გონებაში ჩავარდა უენო, ძალად დაბრმავებული სალდათი, და ეს კი ხუმრობა საქმე აღარ არის.

ამრიგად, რუსეთის ბიუროკრატია კვდება, მაგრამ მომაკვდავიც არა სცხრება და გაბრაზებულ გველსავით გესლს ანთხევს, რომ მთელი სახელმწიფო მოშხამოს: „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო". უეჭველად მოშხამავს კიდეც, თუ რომ ცოტას ხანს თავი აიწია და წელში გაიმართა. ისე არ დალევს სულს, ტანჯულ ხალხის სისხლით მთელი რუსეთი ერთხელ კიდევ არ შეღებოს. სწორედ ასე მოხდება, თუ რომ სახელმწიფოში კანონიერების დამყარებამდის ბიუროკრატიამ ვალის აღება მოახერხა. მაშინ თავს მოუყრის ქვეყნის ნაძირალებს, ბნელ ძალებს, ხულიგანების ლაშქრებს გაამრავლებს და „შინაურ მტერს" მიუსევს აშკარად, მოურიდებლად.

რუსეთის ბიუროკრატია საბრძოლველად რომ ემზადება, ამის ნიშნები ცხადადა სჩანს. რეფორმების საქმე შეაჩერა, ძველებურად ისევ კომისიებს მიაძინებინა. ხალხს კი ურცხვად არწმუნებს, ჯერ კარგა უნდა შევიმუშაოთ ახალი კონონპროექტი და სახელმწიფო სათათბიროსა თუ საბჭოს წარვუდგინოთ, რადგან მთავრობას ახალ კანონების გამოცემის უფლება აღარა აქვსო. ხან კი ზოგიერთა გაზეთებს აცხადებინებს, ვითომც თავისუფლების კანონები უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში გამოქვეყნდებაო. ეს, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუეა. თავისუფლების კანონებს არავითარი გრძელი შემუშავება არ უნდა. მაგალითად, სიტყვისა და მწერლობის თავისუფლება მარტივის სიტყვებითაც დაკანონდება: მოისპოს საცენზურო დებულება. ესევე ითქმის კრებისა და კავშირების თავისუფლების შესახებ. ბიუროკრატიას კი ეს არ უნდა, პირიქით, 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმებასა ცდილობს და, ხალხის მოსატყუებლად, რაღაც კრიმანჭულ თავისუფლების გამოგონებას აპირობს, ისეთ თავისუფლებისა, რომელიც ხალხის ერთობას გასტეხს და მოპირდაპირე ჯგუფებად დაჰყოფს.

ბიუროკრატიას ჯერ იმედი არ გადუწყვეტია, სათადარიგო ძალა კიდევ ეგულება შუაგულ რუსეთში, სადაც დღემდე დათვი ხალხი ცხოვრობს, რომლის ამხედრება მოტყუებათა და ცბიერებით ჯერ კიდევ ადვილება. ბიუროკრატიას იმედი აქვს, მის დახმარებით, მთელ ქალაქებს წალეკს, გაანიავებს. სწორედ იმიტომ მოულოქუცა მან რუსის გლეხობას და მოსწრაფებულ მანიფესტით ნადელების გარდასახადი აპატია 1907 წლიდან. ამით მთავრობას უნდოდა გლეხობისთვის დაემტკიცებინა, რომ ჩვენ შენთვის ვზრუნავთ, შენი დამხმარებელი ვართ და შენც ჩვენი ერთგული უნდა იყოო. სწორედ ამავე აზრით ბიუროკრატიამ ჯარსაც მიანიჭა პატარა შეღავათი. ერთი სიტყვით, ბიუროკრატიას ჯერ კიდევ იმედი აქვს რუსეთის გლეხების ნაწილისა და ჯარისა. ამ ბნელ ძალებსა და ჯარს ბიუროკრატია ნივთიერადაც მოისყიდის, თუ რომ ვალის აღება მოახერხა როგორმე.

რუსეთის ინტელიგენცია და შეგნებული მუშა ხალხი მიუხვდა ეშმაკობას და არ აპირობს დაწყნარებასა, ვიდრე 17 ოქტომბრის მანიფესტი სრულიად არ განხორციელდება, ვიდრე მას თვით ბიუროკრატია არ დაემორჩილება, ვიდრე დამფუძნებელი კრება ხალხს არ გაიბატონებს სახელმწიფოში. რუსეთის ბიუროკრატია ლათაიებით ვეღარავის მოატყუებს.

ისევ მანა.

პროტესტი.

ვარშავის განყოფილება აკადემიურ კავშირისა ენერგიულ პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ ვარშავის ადმინისტრაციისა და უმაღლეს მთავრობისა, რომელმაც პოლონეთის ყველა ათ გუბერნიაში სამხედრო წესები გამოაცხადა.

ვარშავის განყოფილებას თავის მოვალეობად მიაჩნია განუცხადოს რუსეთის საზოგადოებას, რომ ის ბრალდება, რომელიც მთავრობამ პოლონეთის ხალხს შემოახვია თავზე, უსაფუძვლო და უსამართლოა. არც მშვიდობიან მანიფესტაციებს ეროვნულ დროშებითა და პატრიოტულ სიმღერებით და არც ნებადართულ ყრილობებს აზრად არ მოსვლიათ პოლონეთის გამოცალკევება რუსეთის იმპერიისაგან. მართალია, მრავალი ორატორი და ზოგიერთ კრების დადგენილება პოლონეთისთვის ავტონომიას თხოულობდნენ, რადგან პოლონეთი ეტნოგრაფიულად, კულტურულად და ეკონომიურად შესამჩნევად განირჩევა რუსეთის სხვადასხვა კუთხეებისგანო, მაგრამ ყველანი არა თუ არ თხოულობდნენ პოლონეთის გამოცალკევებას, არამედ—პირიქით—ყოველთვის იმეორებდნენ, რომ პოლონეთი რუსეთის იმპერიასთან მჭიდროდ უნდა იყოს შეკავშირებულიო. იმ მთავრობას, რომელმაც ამ დღეებში ფინლანდიას ავტონომია დაუბრუნა, ნება არა აქვს ბოროტ-განზრახვად ჩასთვალოს პოლონელთა სურვილი პოლონეთისთვის ავტონომიის საჭიროების შესახებ. მიტინგების ხელმძღვანელნი, სოციალისტური პარტიები თანაგრძნობას უცხადებდნენ რუსეთის თავისუფალ ხალხს და მზად არიან მასთან ერთად გამანთავისუფლებელი ბრძოლა განაგრძონ; ნაციონალისტურმა პარტიებმა ხელი გაუწოდეს ახალ რუსეთს და განაცხადეს, რომ მხოლოდ ამ ერთობას შეუძლიან მომავალში პოლონეთს ავტონომია მიანიჭოსო. მართალია, აქა-იქ ზოგიერთმა ორატორებმა პოლონეთის დამოუკიდებლობა მოითხოვეს, მაგრამ ამ მოთხოვნას გასავალი არა ჰქონია ხალხში. კონსტიტუციონალურ სახელმწიფოში მხოლოდ თავისუფალ სიტყვის წარმოთქმისთვის ათ გუბერნიის დასჯა სამხედრო წესების შემოღებით შეუძლიან მხოლოდ რუსეთის ბიუროკრატიულ მთავრობას.

ვარშავის განყოფილება აკადემიურ კავშირისა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ პროცესიები და მიტინგები მხოლოდ გამომხატველი იყო იმ ერის თავისუფლებისა, რომელიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში გარუსების უღლის ქვეშ იტანჯებოდა, ამტკიცებს, რომ პოლონელებს რუსეთისაგან გამოცალკევება არ უნდოდათ და ამავე დროს აღნიშნავს, რომ მთავრობის განცხადება ტენდენციურად არის შედგენილი. მთავრობა იუწყება, ვითომ გლეხები და მუშები სახაზინო არყის დუქნებს, სკოლებსა და სასამართლოებს ამტვრევენ და პოლიციელებსა და მოხელეებს სცემენო, მაგრამ ამისთანა შემთხვევები კერძო მოვლენა იყო და მთავრობამაც ეს იმიტომ დაიხვია ხელზე, რომ მეტი ბრალი დასდოს პოლონეთის ხალხს და თავის სასტიკი და უსამართლო საქციელი დაასაბუთოს. ვთქვათ, სკოლებისა და სასამართლოების დანგრევა მართალიც იყო, მაგრამ, ერთი ვიკითხოთ, რად ანგრევდნენ სკოლებსა და დუქნებს შიდა რუსეთში და რად ხოცავდნენ პოლიციელებს? გარდა ამისა, განყოფილება აღნიშნავს, რომ 17 ოქტომბრიდან პოლონეთში ტერორი და ძალის ხმარება პოლიციის წინააღმდეგ თითქმის სულ მოისპო. პირიქით, ვარშავის მცხოვრებნი იმდენად დაამშვიდა მანიფესტმა, რომ [illegible] ახლეს იმ პოლიციელებს, რომელთაც უმიზეზოდ ხალხის სისხლი დაღვარეს, თუმცა კი ეს პოლიციელნი ხალხს ხელში ჰყავდა; მანიფესტის გამოცხადების პირველ დღესვე ხალხი ძმობასა და მეგობრობას უცხადებდა სალდათებს; მიტინგებზე ორატორები სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ წინად პოლონელებს სძულდათ რუსები, ახლა კი პოლონელებმა რუსებზე აზრი გამოიცვალეს და დაუმეგობრდნენო.

ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო, ვარშავის განყოფილებას აკადემიურ კავშირისას უდიდეს უსამართლოებად მიაჩნია საქციელი რუსეთის მთავრობისა, რომელმაც პოლონეთი აჯანყებულებს დაადარა და მასზე სასტიკი ძალმომრეობა იხმარა.

ვარშავის განყოფილება ერთხელ კიდევ აღნიშნავს პოლონელთა მშვიდობიან განწყობილებას და ამასთან თავის მოვალეობად მიაჩნია გამოუცხადოს რუსეთის ხალხს, რომ მთავრობა ამ ჟამად არა ჩვეულებრივის სისასტიკით ეპყრობა პოლონელებს. 19 ოქტომბერს მხიარულ და მშვიდობიან ხალხს კაზაკთა ბრბო უმიზეზოდ თავს დაეცა და აურაებელი სისხლი დაღვარა. მას აქეთ აღვირ-აშვებულ ჯარს ძალმომრეობა არ გაუთავებია. ადმინისტრაციამ თითქმის ყველა გაზეთების გამოცემა შეაჩერა და გადარჩენილებს ცალკე ნომრობით გაყიდვა აუკრძალა; ამავე ადმინისტრაციამ აურაებელი ხალხი დაპატიმრა და ვარშავიდან გააძევა; ვენის რკინის გზის მუშებს მუშაობის დაწყება უნდოდათ. ადმინისტრაციამ ჯერ ნება არ მისცა, მაგრამ დიდის ხვეწნა-მუდარის შემდეგ მუშაობა დააწყებინა; ადმინისტრაციამ თეატრებში ჯარი ჩააყენა და სხ. და სხ.

ათასი პროვოკატორი ებრაელებისა და პოლონელების წაკიდებას ცდილობს და ამით ხალხს საშინლად აწუხებს. ადგილობრივ ადმინისტრაციის პოლიტიკა ხალხს სტანჯავს, აბოაზებს და შეურაცხყოფს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევს და ხალხს მოთმინებიდან ვერ იყვანს. ამჟამად პოლონეთში აჯანყება შეუძლებელია და მთავრობაც ტყუილად ცდილობს რუსეთის ხალხი დაარწმუნოს, ვითომ პოლონეთში აჯანყება დაწყებულიყოს.

ზემოხსენებულის გარდა, ვარშავის განყოფილება აკადემიურ კავშირისა გულისწყრომით აღნიშნავს, რომ პოლონეთს უბრალო ადმინისტრაციულის განკარგულებით კონსტიტუციაც წაართვეს და საარჩევნო უფლებაც. კულტურულ და განათლებულ ქვეყნებში იმ ადგილის მცხოვრებთ, სადაც სამხედრო წესებია შემოღებული, საარჩევნო უფლებას არასდროს არ ართმევენ, რუსეთის მთავრობამ კი ამას ყურადღება არ მიაქცია და ცხადად დაამტკიცა, რომ ის 17 ოქტომბრის მანიფესტს სერიოზულად არ უყურებს. ზემოჩამოთვლილ ფაქტების მიხედვით და დასაცავად საკაცობრიო სამართლიანობისა, რომელიც რუსეთის მთავრობამ მოუხეშავად და უდიერად გასთელა, ვარშავის განყოფილება აკადემიურ კავშირისა მოუწოდებს რუსეთის საზოგადოებას და იმის ორგანიზაციებს, რომ მათ ერთხმად მოითხოვონ პოლონეთში სამხედრო და გაძლიერებულ წესების გაუქმება.

ვარშავის განყოფილება აკადემიურ კავშირისა.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

კნეინა მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანისაგან მივიღეთ ხუთი თუმანი.

დღევანდლამდე გურულების სასარგებლოდ გვქონდა 1632 მ. 47 კაპ. ზემოდ ნაჩვენებ თანხიანად შესდგა—1682 მ. და 47 კაპ.

ახალი ამბავი

ტფ. სოციალ-დემოკრატიულ **მუშათა ორგანიზაცია გვთხოვს გამოვაცხადოთ**, რომ განჯაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო დღეს ნაძალადევში მიტინგზე საზოგადოებას მხოლოდ ამ ჟლეტის პროვოკაციაზე ექნება მსჯელობა. ორგანიზაცია სთხოვს ყველა ეროვნებას გამოცხადდეს ამ მიტინგზე. შემდეგი კითხვების გასარკვევად ინიშნება მიტინგი 21 ნოემბერს ნაძალადევშივე.

◆ გუშინ, 19 ნოემბერს, ტფილისის ქუჩებზე **განჯის ხოცვა-ჟლეტის შესახებ** განჯიდან მოსული დეპეშები გამოაკრეს: „18 ნოემბერს, ქალაქში სომეხ-თათართა საშინელი ხოცვა-ჟლეტაა, ქალაქს ცეცხლი უკიდია. განჯის ნავთის სადგურთან ქვეითა ჯარმა გზა შეუკრა ქალაქში მიმავალ თათრებს. სადგურს გარშემო შეიარაღებულ თათართა რაზმები არტყია. ამჟამად, ღამის 12 საათზე, ქალაქს საშინელი ცეცხლი უკიდია. გაისმის განუწყვეტელი გრიალი თოფებისა".

◆ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ქრონიკიდან მკითხველები გაიგებენ განჯაში ხოცვა-ჟლეტის განახლების ამბავს. ამ ამბის გამო, გუშინ, 19 ნოემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ტფილისის ქალაქის გამგეობაში კრება ჰქონდათ ყველა ადგილობრივ რევოლუციონურ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელსაც ქალაქის ხმოსნებიც დაესწრნენ. **განჯაში საქმის მოსაწესრიგებლად გადაწყვეტილ იქმნა** გაიგზავნოს თვითოეულ ორგანიზაციიდან თითო პირი და ქალაქის საბჭოდან სამი ხმოსანი. არჩეული პირები განჯაში დაუყოვნებლივ გაემგზავრებიან.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ბიუროს დათხოვნილი დელეგატები **ხელმწიფეს ცარსკოე სელოში დაუბარებია.** იმედი აქვთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა დამთავრდება ამ თვის 20-სათვის და დამთავრდება სიმართლის გამარჯვებით.

---

*) ამ დროს მე ჯერ ისევ ლონდონში ვიყავი და სრულებითაც არ მეკითხებოდა, თუ ჩვენი თავად-აზნაურობა სად და როგორ გზავნიდა „ადრესებს".

◆ ხმა დადის, რომ **შავი ზღვის ფლოტის მატროსები აჯანყებულან.** მატროსებს ადმირალად ამოურჩევიათ ბ-ნი შმიდტი, უფროსები კი დაუპატიმრებიათ. კანონიერი ადმირალი კერძო სახლში ჩაკეტილა და თავის მცირე რიცხვოვან რაზმით თავს იცავს. ყველა გემებზე სარევოლუციო ბაირაღებია გამოკიდებული.

◆ ამ სამ ოთხ დღეში, რაც ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი გაიფიცნენ, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში **ათას ფუთზე მეტი გადაურჩეველი კორესპონდენცია მოგროვებულა.**

◆ **ტფილისში მდგომ ჯარების აფიცრებმა** დაადგინეს, სთხოვონ საარტილერიო დივიზიის უფროსს გენერალ რილსკის, ნება დართოს, კრებები გამართონ და მსჯელობა იქონიონ განმანთავისუფლებელ მოძრაობის საკითხებზე.

◆ დღეს, 20 ნოემბერს, ავლაბრის სახალხო (არაქსიანისეული) თეატრში, **დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ,** წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის 4 მოქმედებიანი ახალი პიესა „მეზობლები“. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში **დანიშნულია სახალხო კითხვათა სექციის საზოგადოების წევრთა წლიურ კრების გაგრძელება.** კრების საგანია: არჩევნები გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიისა და სახალხო უნივერსიტეტის პროექტის შემმუშავებელ კომისიის წევრებისა.

◆ დღეს, 20 ნოემბერს, ქართველ-ფედერალისტებისა, რევოლუციონერებისა და სომეხთა პარტიის „დაშნაკციუტუნ“-ის **შეერთებული კრება არ მოხდება.**

◆ ორშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ნაძალადევში დანიშნულია **შეერთებული მიტინგი ხელოსნებისა, ქარგლებისა და** შეგირდებისა.

◆ გუშინ, 19 ნოემბერს, **აზოვ-დონის ბანკიდან ფული გაიტაცეს.** დილის 11 საათზე არტელშჩიკმა ბ-ნმა კირენკოვმა აზოვ-დონის ბანკიდან სახელმწიფო ბანკში შესატანად 49 ათასი მანათი მიიღო. პარკში გამოკრული ფული ბ-ნმა კირენკოვმა და ერთმა მოსამსახურემ ეტლში ჩადეს და წავიდნენ. სერგიევის ქუჩაზე ეტლს გადაუდგა ოთხი კაცი, რევოლვერებით ხელში, და დაუყვირა: „გადმოდით, თორემ დაგხოცავთო. შეშინებული კირენკოვი და მოსამსახურე ეტლიდან სწრაფად გადმოხტნენ, ხოლო რევოლვერიანი კაცები ჩასხდნენ ეტლში, მეეტლეს ეტლი მოაბრუნებინეს და წავიდნენ. სანამ არტელშჩიკი და მოსამსახურე ბანკში ამ ამბავს შეატყობინებდნენ, თავს დამცემთა კვალი სრულიად დაიკარგა. ერთს მათგანს ჩოხა სცმია, ხოლო დანარჩენები ევროპიულ ტანისამოსით ყოფილან.

◆ „ვოზროჟ.“-ს ბათუმიდან ატყობინებენ: 17 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე „**ჩერნომ. ვესტნიკ**“-ის **რედაქციაში მივიდა ხუთი კაზაკის აფიცერი,** რომლებმაც რედაქტორის ნახვა მოისურვეს, რედაქტორი რედაქციაში არ იყო. მაშინ აფიცრებმა სთქვეს: ერთი საათის შემდეგ ისევ მოვალთ და, თუ რედაქტორი აქ არ დაგვიხვდა, რედაქციის გავანადგურებთო ამ გარემოებამ მთელი ქალაქი აღელვა და რედაქციას დიდძალი ხალხი მოაწყდა. აფიცრებიც დანიშნულ ვადაზე მოვიდნენ და რედაქციაში შევიდნენ. ხალხი კარში უცდიდა და ელოდა, თუ რასმე გაბედავდნენ აფიცრები, ხალხი მზად იყო დაეცვა „პრესსის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა“. საქმე უცნაურად გათავდა: რედაქციაში მოვიდა 50 კაზაკი და თავიანთი აფიცრები წაიყვანეს, ხალხიც დაიშალა. რაზე ჰქონდათ მოლაპარაკება ამ ოფიცრებს, ჯერ არ ვიცით.

◆ ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში **დანიშნულია მასწავლებელთა კრება.** ქართველ პედაგოგებს სურთ შეადგინონ საზოგადოება, რომელმაც ქართულ სკოლისათვის ახალი და სათანადო პროგრამა უნდა შეიმუშაოს.

◆ გუშინდლისათვის დანიშნული ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა **საგანგებო კრება,** გუბერნიის მარშლის ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო, **არ შესდგა.** კრება გადაიდო განუსაზღვრელ დროისათვის, მაგრამ მალე კი შესდგება.

◆ სამხედრო და გაძლიერებულ წესების გაუქმების შემდეგ, ტფილისში ბევრმა სახლის პატრონმა მეეზოვე დაითხოვა, რადგან მისთვის სრულიად საჭირო არ იყო და მხოლოდ პოლიციის ბრძანებას ასრულებდა. **უადგილოდ დარჩენილ რუს მეეზოვეებს პოლიციამ დახმარება აღმოუჩინა:** ვითომ შინ გასასტუმრებლად, ხუთ-ხუთი და ათ-ათი მანათი დაურიგა და რკინის გზის უფასო ბილეთები აართვა. მეეზოვეებმა დახმარება კი მიიღეს და ქალაქიდან წასვლა კი არ ისურვეს. პოლიცია, რასაკვირველია, ტყუილ-უბრალოდ ფულს არ დაარიგებდა. მაშ რას უნდა მოასწავებდეს პოლიციისაგან გაწვრთნილ მეეზოვეების დაჯილდოვება?

◆ ტფილისის ჯარებში მღელვარების ჩასაქრობად სათანადო მთავრობამ სხვათა შორის, გადასწყვიტა, დაითხოვოს სათადარიგო ჯარში ჩასარიცხი სალდათები, რომელთაც სამსახურის ვადა ამ ორის თვის წინად გაუთავდათ და შინ უნდა წასულიყვნენ. ახლა, როგორც გავიგეთ, **სათადარიგო ჯარის სალდათები სამსახურიდან კი გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ** რაღაც მოსაზრებით, შინ არ ისტუმრებენ და ჯერჯერობით **აქვე სტოვებენ.** ზოგს მათგანს პოლიცია რევოლვერებსაც ურიგებს, მაგალითად, მეცხრე საპოლიციო ნაწილში. რას უნდა მოასწავებდეს იმ სავარაუდო ჯარისკაცების შეიარაღება, რომელნიც 22 ოქტომბრის ძარცვა-ჟლეტაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ?

◆ დღეს, 20 ნოემბერს, დილის 11 საათზე, **დაიწყება კრება** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულებისა. სხვათა შორის, კრებამ უნდა აირჩიოს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაცვლად თავ. ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება.

◆ დღეს, 20 ნოემბერს, ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიაში დანიშნულია **ტფილისის ყველა სასწავლებლების მასწავლებელთა კრება.** მასწავლებლებმა უნდა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ სწავლა დაიწყონ თუ არა.

◆ ამ დღეებში ტფილისში ბ-ნი **გოგელია და წერეთელი წაიკითხავენ** რეფერატს შემდეგს თემაზე: 1) კრიტიკა დიალექტიკისა და მარქსის ეკონომიურ მონიზმის შესახებ, და 2) თეორია თავისუფლებისა.

◆ ოთხშაბათს, 23 ნოემბერს, **ფიქრის გორის ქვემოდ, ბაღში, დილის 10 საათზე დანიშნულია მეარღნეთა მიტინგი.**

◆ ორშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია **ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.**

◆ **ტფილისის ვიცე გუბერნატორად** ინიშნება ნამესტნიკის კანცელარიის საგანგებო საქმეთა მოხელე, უგან. თავადი პ. ა. **გრუზინსკი.**

◆ „სინ ოტეჩ.“-ში დაბეჭდილია სია იმ 55 **პოლიტიკურ მოღვაწეთა,** რომელნიც გასამართლებულ იქმნენ იაკუტსკში (ციმბირი) მომხდარ პროტესტის გამო და რომელნიც ახლა, ამნისტიის ძალით, გაუნთავისუფლებიათ. ამათ რიცხვში **კავკასიელნიც არიან:** ლ. ნ. ჯოხაძე, ი. ი. კოსტალიანცი, გ. ფ. ვარდოიანცი, ო. ი. პოლოსოვი, მ. დ. დობრონენიძე (?), ი. ს. ცენტერაძე და მ. დ. გაბრონიძე.

◆ ი. კ. ივანოვსკის მაგივრად, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსად **დაინიშნა მის თანაშემწედ ნამყოფი ინჟენერი შაიკევიჩი,** რომელიც ტფილისში ამ ერთის თვის შემდეგ ჩამოვა.

◆ გუშინ-წინ, 18 ნოემბერს, **დიდუბეში შეიკრიბნენ** ღვინო-არყით მოვაჭრე დუქნებისა და სასტუმროების პატრონები და მიტინგი გამართეს. რადგან მიტინგი წინადვე არ იყო გაზეთებში გამოცხადებული და კერძოდ მოწვეულთაგანაც ბევრი არ გამოცხადდა, მიტინგი ვერ შესდგა და დღესისთვის გადაიდო. დამსწრეთ მაინც თავმჯდომარე ამოირჩიეს (მასწავლებელი რამიშვილი) და 12-დან 3 საათამდე თავიანთ საჭიროებაზე ილაპარაკეს. შეადგინეს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოთხოვნილებათა ფურცელი და დღევანდელ მიტინგს წარუდგინოს, რომელიც ნაძალადევში შეიკრიბება. იგივე კომისია ვალდებულია, ისეთი ღონისძიებანი გამონახოს, რომელნიც დუქან-სასტუმროების პატრონებს მათ ნოქარ-მოსამსახურეებთან მოარიგებს. კრებამ გადასწყვიტა, იარაღი შეიძინოს და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (უმცირესობას) შეუერთდეს. აქვე ხელის მოწერა გამართა და იარაღის შესაძენად 300—400 მანათი უკვე მოგროვდა.

◆ ამ დღეებში მიტინგი ჰქონდათ მიკიტნებსა და გადასწყვიტეს, რომ ყველა სამიკიტნო საღამოს 9 საათზე უთუოდ იკეტებოდეს. ზოგი მიკიტანთაგანი, რომელიც თურმე მიტინგს არ დასწრებია, დუქანს დანიშნულ დროს არა ჰკეტავს, რაც დიდს უსიამოვნებას იწვევს სხვა მიკიტანთა შორის, ამ უსიამოვნების გამო მიკიტანთა მიტინგი ერთხელ კიდევ დაინიშნება.

◆ ამ დღეებში კრება ჰქონდათ ს. ს. გერმოვის მექანიკურ წყლის-საყინის ქარხანაში მომუშავე შეგირდებს თავიანთ უფლება-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) რვა საათის სამუშაო დღე (დილის 7 საათიდან საღამოს 4 საათამდე; სადილისთვის ერთი საათის დასვენებით); 2) უკანვე მიღებულ იქმნან დათხოვნილი შეგირდები, 3) მიღება და დათხოვნა შეგირდებისა უნდა ხდებოდეს თვით მომუშავე შეგირდების თანხმობით; 4) პირველ მიღებისთანავე შეგირდს დაენიშნოს თვეში არა-ნაკლებ მანეთ ნახევრისა ტანისამოსისთვის და პურის ფულად არა-ნაკლებ ექვსი შაურისა დღეში; 5) ყოველ ექვსის თვის შემდეგ უნდა მოემატოს ჯამაგირი: ორი შაური დღიურ ხელფასს და ათი შაური თვეში—ტანისამოსისათვის; 6) მიეცეთ შეგირდებს ორ კვირაში ერთხელ აბანოს ფულად—თითო აბაზი; 7) შეგირდობის ვადა არ აღემატებოდეს სამს წელს; 8) ავადმყოფობის დროს შეგირდს ექიმი და წამალი ხაზეინის ხარჯზე უნდა ჰქონდეს და აგრეთვე უნდა მიეცეს სრულიად როგორც პურის, ისე ტანისამოსის ფულიც. 9) იმ შემთხვევაში, თუ ვინმე შეგირდთაგანი გარდაიცვლება, მექარხნემ დასამარხად უნდა გაიღოს 25 მანათი; 10) შეგირდებს ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ, როგორც თვით მექარხნე, ისე უფროსი ხელოსნებიც; 11) გაფიცვის დროს მიეცეს ყველას სრული ჯამაგირი. სანამ ყველა ეს მოთხოვნილება არ იქმნება სრულიად დაკმაყოფილებული, არც ერთი ჩვენგანი მუშაობას არ შევუდგებითო,—დასძინეს ბოლოს შეგირდები.

◆ მუხრანის ქუჩაზე არის თავ. მუხრანსკის სახლი (№ 32). ამ სახლში სცხოვრობს ათიოდე ებრაელის, ერთი ქართველის და ერთი რუსის ოჯახი, გუშინ რუსის ოჯახმა ფოსტით ვიღაცისაგანაც შემდეგი წერილი მიიღო: „ქალბატონო შ... რატომ არ გადადიხართ სხვაგან. მე რუსი ვარ და თქვენთვის კარგი მინდა. თუ თქვენი თავი არ გეცოდებათ, შვილები მაინც შეიცოდეთ. მე თქვენს ქმარს წერილი გავუგზავნე, თქვენ-კი ისევ მანდა სცხოვრობთ. მაგ სახლში ყუმბარა უნდა ისროლონ, ვადას—გაძლევთ 20 ნოემბრამდე. მე ვიცი, რომ თქვენი ქმარი მოხუცი კაცია და თავისი თავი არ გნანება. უთუოდ მან თქვენ არა გითხრათ-რა. რაც შეიძლება, მალე სხვაგან სადმე გადადით. 17 ოქტომბერი, 1905 წ.“ (ც. ფ.).

◆ 17 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ვორონცოვის ხიდთან ვიღაც თათრულად კარგად ჩაცმული კაცი მისდევდა ერთს ევროპიულად ჩაცმულ კაცს და ხელში მალულად რევოლვერი ეჭირა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, რევოლვერი ძირს გაისროლა, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო, ვითომ არ იცოდა, ვინ გაისროლა და სად გაისროლა. ამ ამბის მნახველნი ამტკიცებენ, რომ თათრულად ჩაცმული კაცი მაჰმადიანი არ იყოო. სჩანს, პროვოკატორი იყო, რომელიც სცდილობს სომხებსა და თათრებს შორის ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიოს.

◆ ამ დღეებში კრება ჰქონდათ ტფილისის სამაზრო სამმართველოს მოსამსახურეებს, რომელთაც აღნიშნეს ის გარემოება, რომ ყოველ-წლივ სამმართველოზე გადადებულია 4.300 მანათი, საიდანაც 1500 მანათი სამეურნეო ნაწილს უნდა მოხმარდეს, დანარჩენი კი ჯილდოდ მოსამსახურეებს უნდა დაურიგდეთ, მაგრამ დღემდე 1500 მანათი სამეურნეო ნაწილზე იხარჯება, ხოლო მოსამსახურენი არავითარ ჯილდოს არ ღირსებიან.

◆ მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებლის მოწაფეებმა 18 ნოემბრისათვის ხელმეორედ დელეგატთა კრება მოიწვიეს ზემოდასახელებულ სასწავლებელში. ნაშუადღევის 4 საათზე სასწავლებლის სახაზავ ზალაში, თავი მოიყარა რამოდენიმე სასწავლებლის დელეგატებმა. რადგან ყველა სასწავლებელმა დელეგატები არ გამოგზავნა, დელეგატთა კრება არ შესდგა. გაიმართა კერძო თათბირი, რომლიდანაც გამოირკვა, რომ სასწავლებელთა უმრავლესობა წინააღმდეგია დელეგატების ახალის კრებისა და რეგულიარულ მეცადინეობას იწყებენ. მიწის-მზომელთა სასწავლებლის მოწაფენი 21 ნოემბრისათვის იწვევენ თავის სასწავლებლის კრებას, რომელზედაც გადასწყვეტენ მომავალ მოქმედების ტაქტიკას.

◆ სამშაბათს, 22 ნოემბერს, ქალაქის გამგეობა მართავს საჯარო ვაჭრობას, რომლითაც იჯარით გაიცემა ვერის ხიდი. მოიჯარადრენი ქალაქის გამგეობას სთხოვენ, რომ იმდენა საიჯარო ფული არ დანიშნოს, როგორიც წინად იყო, რადგან დამ დამით, ამ მოძრაობის დროს, ეტლით იმისთანა კაცები გაივლიან ხოლმე, რომ ფულს არ გვაძლევენ და კიდევაც გვემუქრებიანო.

◆ აზრადა აქვთ, ტფილისის ქალაქის ღამის პირველი თავშესაფარი მალე ხანში დახურონ, რადგან შიგ სამხედრო სამსახურში ახლად გაწვეული ჯარის კაცები უნდა დააბინაონ. ამის გამო რამდენიმე ღარიბმა ქალაქის გამგეობას სთხოვა: ჯარის კაცებს სხვა შენობა უშოვეთ და ჩვენ, ამ ცივ ზამთარში, ცისქვეშ ნუ დაგვტოვებთო.

საერთო გაფიცვა.

საერთო გაფიცვა, როგორც ბრძოლის იარაღი, კაცობრიობის წარსულ ისტორიაში ნაცადი არ არის,—არც შეიძლებოდა საერთო გაფიცვაზე ლაპარაკი იქ, სადაც ხალხის უმეტესობა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერეოდა და ერთმანეთში დაქსაქსული, საერთო მიზნების შეგნებას მოკლებული, ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, რაც მის საოჯახო საქმეებს არ ეხებოდა.

იმ დროს, როდესაც, უგზოობისა გამო სახელმწიფოს ყოველი კუთხე ეკონომიურად და პოლიტიკურად განსხვავებულ ერთეულს წარმოადგენდა, როდესაც არ იყო რკინის გზები და ტელეგრაფი და ამიტომ შეუძლებელი ხდებოდა აზრების სწრაფი მიმოცვლა და შეთანხმებული მოქმედება,—იმ დროს საერთო გაფიცვაზე ლაპარაკიც კი უაზრობა იყო.

გავიხსენოთ ევროპის სახელმწიფოთა წარსული, გავიხსენოთ ის მრავალი ისტორიული მოვლენა, რომელსაც ხალხთა ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩაუყენებია, გავიხსენოთ აგრეთვე წარსული დროის ცნობილი რევოლუციები,—ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავეს შევამჩნევთ,—მომქმედ ელემენტად, შეგნებულ ძალად გამოდის ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ჯგუფი, ხალხის უმეტესობა კი ან სულ განზე დგას, ან მორჩილად ასრულებს ამა თუ იმ ჯგუფის ბრძანებას. ხალხის უმეტესობის ცხოვრება ცენტრალურ მთავრობის, ან სახელმწიფოში მომქმედ ერთ რომელიმე წრის მოქმედებაზე ისე ნაკლებად იყო დამოკიდებული, თვითეულის ცხოვრება იმდენად მოწყვეტილი იყო მეზობლების ცხოვრებას და ყველა მცხოვრებელს ისე იშვიათად სჭიროდა ცენტრალურ მთავრობის დახმარება ან ცენტრალურ მთავრობასთან ბრძოლა,

ფელიეტონი

დისციპლინარულ ბატალიონში

მისი ისტორია, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად გადახდა, ყველამ იცოდა.

როტის უფროსმა მას ოცდაათი „როზგი“ გარდაუწყვიტა და, სანამ გარდაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდნენ, კარცერში იჯდა.

როცა კი უნდა გაგევლოთ მწკრივად ჩარიგებულ კარცერებისკენ და შეგეხედნათ ბოლოს სანათურივით კარებში ამოჭრილ სარკმელში, ყოველთვის ან დადიოდა, ან გაჩერებული იყო ერთ ადგილას და იატაკს ჩასცქეროდა.

პირდაუბანელი, აღეწილი სახე, უძილობისაგან ჩასისხლიანებული თვალები, ძალზე მოკუმული ტუჩები და ძნელი ქშინვა მეტად ცუდს შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე.

გაშავებულს, სქელს, ჭუჭყიანს კარებზე თეთრი, პატარა ოთხკუთხი ქაღალდი იყო გაკრული, რომელზედაც ლამაზი ასოებით ეწერა: ეკატერინოგრადის დისციპლინარულ ბატალიონის მეოთხე როტის რიადოვოი პეტრე უსტინოვსკი, გარდაწყვეტილი აქვს ოცდაათი „როზგი“ უნტერ-აფიცრის შეურაცხყოფისათვის, ზის სასჯელის სისრულეში მოყვანამდე.

უნტერ-აფიცრები ხშირ-ხშირად ჩაუვლიდნენ ხოლმე კარცერებს და, თუმცა ტუსაღს თვალს არიდებდნენ, მაგრამ სახეზე ნათლად ეხატებოდათ სიხარული და კმაყოფილება.

სალდათები კი თავისუფალ დროს მუდამ ირეოდნენ ტუსაღის კარცერთან და, ვისაც როგორ შეეძლო, სცდილობდა, მისი გული მოეგო. ზოგს ვაი-ვაგლახით ნაშოვნი და საჩქაროდ გაკეთებული პაპიროსი მოჰქონდა, ზოგს სპიჩკა, ზოგს პური, ზოგს ხორცის ნაჭერი, მაგრამ ტუსაღი პაპიროსს იღებდა, დანარჩენს ყველაფერს უკან უბრუნებდა.

უსტინოვსკი მთელ ბატალიონში ცნობილი იყო. სალდათებთან თავდაბალს, მხიარულს, კარგ მოლაპარაკეს, ყველას დამრიგებელს, ჯავრის გამქარვებელს, უნტერ-აფიცრებთან თავი ამაყად ეჭირა და თუ თვითონ უნტერ-აფიცერი არ ჰკითხავდა რასმე, რაც უნდა ყოფილიყო, არ გამოელაპარაკებოდა. სამსახურს კარგად ასრულებდა, დისციპლინას მისებრ არავინ ემორჩილებოდა, თავის დროზე დგებოდა, დროზე წვებოდა, თუ არ საქმეზე, კარში ფეხს არ გადადგამდა. უნტერ-აფიცრის წინაშე იდგა მუდამ მოღუშული სახით და სასტიკი გამომეტყველებით, ხოლო როცა უნტერ-აფიცრები როტიდან წაიდოდნენ, უსტინოვსკი უცბად ფერს იცვლიდა, ხუმრობდა, ცელქობდა, თვითონაც მხიარულობდა და სხვასაც ამხიარულებდა.

უნტერ-აფიცრები მას მტრულის თვალით უყურებდნენ და, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ კიდეც, მაგრამ შარის მოდებას ვერაფრის გზით ვერ ახერხებდნენ. ხოლო თუ რომელიმე მათგანი მოისურვებდა ისე, რუსები რომ იტყვიან „Здорово живешь“, უმიზეზოდ დაყვირებას, ან შეგინებას, უსტინოვსკი გაუჩერდებოდა, როგორც ამას სამხედრო წესი მოითხოვდა, თუ ქუდი ეხურა, ხელს ქუდთან მიიტანდა და ისეთის სახით, ისეთის კილოთი და ისეთ სიტყვებს ეტყოდა, რომ ბრაზმორეული და გაწითლებული უნტერ-აფიცერი გაცლას ამჯობინებდა ხოლმე.

— ამპარტავანი რომ არ იყოს, სამსახური და დისციპლინა კარგად იცისო!—ხშირად ამბობდნენ ხოლმე უნტერ-აფიცრები.

— ცოტა უნდა ფრთები შეუკვეცოთ.

— აბა ერთი სინჯე, შეუკვეცე!

— გლახები ხართ, გეშინიათ მაგისი!—სთქვა ერთხელ ერთმა უნტერ-აფიცერმა—მე ვაჩვენებ სეირს, ერთი ჩამივარდეს ხელში!

— დიაღ, თუ ჩაგივარდა!—უპასუხა მეორემ.

— ჩამივარდება, ენახავ!

ერთი საგანი იყო, რომელიც ტუსაღებს დისციპლინა სასტიკად უკრძალავდა, ხოლო უსტინოვსკი არ ასრულებდა. ეს იყო პაპიროსის წევა. ერთხანს უსტინოვსკიმ მოინდომა, ხელი აელო პაპიროსის წევაზე, ერთ თვეს აღარ მოსწია, მაგრამ ველარ შესძლო და გადასწყვიტა, ძალიან ფრთხილად მოქცეულიყო, რომ არავის დაეჭირა, რადგან იცოდა, არავინ დაინდობდა.

აი, სწორედ ამის იმედი ჰქონდა იმ უნტერ-აფიცერს, რომელმაც ამხანაგებში დაიკვეხა.

ერთ მშვენიერ დღეს, სადილს უკან მონიჭებულ, ორი საათის თავისუფალ დროს სალდათები როტაში ატარებდნენ. ზოგი წამოწოლილი იყო და ძილით თვალს ატყუებდა, ზოგი წიგნსა კითხულობდა, ზოგიც ფანჯარიდან ზეცას გაჰყურებდა.

უსტინოვსკი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში ჩაფიქრებული დადიოდა და ფიქრებს ისე გაეტაცნათ იგი, რომ დაავიწყდა, სად იყო, ვინ იყო, დაავიწყდა განსაცდელი და, თვითონაც ვერ ახსნა როგორ, პაპიროსს მოუკიდა. ის იყო გაჰკრა სპიჩკა, რომ ოთახში შავარდენივით შემოვარდა ის უნტერ-აფიცერი და საყელოში სწვდა.

იმ დროს ისინი ორს მოჭიდავესა ჰგავდნენ. ორივე გადაფითრებულნი იყვნენ. ერთი გამარჯვებით გატაცებული, მეორე შიშით მოცული. უნტერ-აფიცერი მსხვერპლის სახეზე აღბეჭდილ შიშით კარგა ხანს დასტკბა, შემდეგ შეიგინა და სახეში შემოსაკრავად ხელი მაღლა ასწია, მაგრამ სალდათმა სტაცა მკლავში ხელი და უნძრევლად ჰაერში გაუჩერა.

დეკორაცია შეიცვალა: დამკრთალი უნტერ-აფიცრის წინაშე იდგა მრისხანე ტუსაღი, საშიში არსება, რომლის მოელვარე თვალები და დაჭიმული ძარღვები სხეულისა კარგს არაფერს მოასწავებდა.

— წადი და დამაბეზღე... გალახვით, თავს არ გაგალახვინებ!—ათრთოლებულის ხმით უთხრა ტუსაღმა და ხელი გაუშვა.

როტის უფროსმა ოცდაათი როზგა გადაუწყვიტა უნტერ-აფიცრის შეურაცხყოფისათვის, მანამდე კი სამი დღე კარცერში იჯდა, რადგან უფროსს არ სცალოდა, რომ თავისი გარდაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა.

ეს ისტორია მთელს ბატალიონს მოედო. უსტინოვსკი ყველას ებრალებოდა და ყველა თავისებურად მსჯელობდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც უსტინოვსკი ერთს ამხანაგს გაუტყდა და უთხრა: რაც გინდა მომივიდეს, როზგს არ დავარტყმევინებო, ყველა მოუთმენლად მოელოდა, რითი გათავდებოდა საქმე.

არავის არ სჯეროდა, რომ უსტინოვსკი თავზე ხელს აიღებდა და თავს გააუბედურებდა, მაგრამ ვინც კი კარგად იცნობდა იმას, ეჭვი ეპარებოდა და რაღაც არა ჩვეულებრივ ამბავის მოლოდინში იყო.

დადგა ის დროც, როდესაც უსტანოვსკი უნდა გამოეყვანათ და მთელი ბატალიონის თვალწინ როზგი დაეკრათ.

ყაზარმების უკან მედაფეებმა იღლიებით დასველებული წკეპლების კონები მიიტანეს. იქითკენვე წაიყვანეს გამწკრივებული როტები. როტის უფროსი დადიოდა ეზოში და აღელვებულის ხმით ფელდფებელს სხვადასხვა ბრძანებებს აძლევდა.

ტუსაღები, ამხანაგის უბედურობის ნახვის მოლოდინში, გარინდულიყვნენ, თავები ჩაექინდრათ და სცდილობდნენ, ერთი-ერთმანეთისთვის არ შეეხედნათ.

აფიცრები შეჯგუფებულიყვნენ, დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ და ხმა-მაღლა იცინოდნენ.

სადარაჯო რაზმის უფროსმა აფიცერმა გამოარჩია ოთხი თოფიანი სალდათი და ფელდფებელს გადასცა. თვითონ კი აფიცერთა ჯგუფს შეუერთდა. ფელდფებელი წაუძღვა წინ თოფიან სალდათებს და კარცერის კარებს მიაყენა.

მორიგე უნტერ-აფიცერი უკვე მზად იყო და სალდათების მოსვლისთანავე კარცერის კარები უცბად გააღო და... ყველამ უცბად უკან დაიხია.

ტუსაღი საზარელ ქანდაკებას წარმოადგენდა. ორივე ხელით საწოლის სქელი ფიცარი აემართა და გაშეშებულივით იდგა. თვალებს შეშლილივით ატრიალებდა, გული მაღლა აუდ-დაუდიოდა, ცხვირის ნესტოები გასდიდებოდა და ნაცრის ფერი ედო. ის ადამიანი აღარ იყო, ის იყო ტყის ნადირი, მით უფრო საზარელი, რომ ადამიანი იყო.

რამდენიმე წუთს მაყურებელნი გაოცებული შესცქეროდნენ, ბოლოს ფელდფებელმა ღონე მოიკრიბა და სთქვა:

— უბედურო, გულს დაუხმე, რას სჩადიხარ?

— არ მოხვიდე!—ყრუდ უპასუხა ტუსაღმა.

ფელდფებელმა უკან დაიხია და სალდათებს უბრძანა:

— შედით, გამოიყვანეთ!

სალდათებმა კარცერისკენ წაიწიეს, მაგრამ თოფ-ნაკრავივით უკანვე დაიხიეს. ფიცრის წვერი იატაკს ღონივრად მოხვდა.

პატარა ხანს უკან კარცერს მიაწყდნენ აფიცრები, უნტერ-აფიცრები და სალდათები, კარებთან წრე გააკეთეს და განცვიფრებული ტუსაღს შესცქეროდნენ.

მისვლას ვერავინ ბედავდა.

— ვინ მივა, ფიცარს ვინ წაართმევს?—ჰკითხულობდნენ აფიცრები.

პასუხი არსად იყო.

— თქვენო მაღ—ბავ!—ტუსაღმა უკან დაიხია და ფიცარი ძირს დაუშვა,—ნუ დამარტყავთ როზგს... რაც გინდათ სასჯელი მომაყენეთ, გინდათ, სასამართლოს გარდამეცით... როზგს ნუ დამარტყავთ... დავიღუპები... შეიბრალეთ ჩემი მშობლები, რომლებიც მოუთმენლად ელიან ჩემს დაბრუნებას სახლში... შედით ჩემს მდგომარეობაში. ადამიანი ვარ, თავმოყვარეობა მაქვს, ნუ დამამცირებთ... თქვენო მაღ—ბავ! ამაზეა დამოკიდებული ჩემი სიკვდილ სიცოცხლე... შემიბრალეთ...

— დაგვენებდი, გირჩევნიან,—უპასუხა უფროსმა—თუ არ დაგვენებდები, ასი როზგი მოგხვდება!

— რადა, რად მომხვდება?!

— რომ ისე მოქნილი გაგხადოთ, როგორც ის წკეპლები, რომელსაც მოგარტყამენ!

— მაშ, ერთს მაინც ვიმსხვერპლებ!—ამ სიტყვებით ტუსაღმა ამართა ისევ ფიცარი და ისევ საზარელ ქანდაკებად იქცა.

— აი, თქვე მხდალებო, თქვენა! შეჰკარით ამ სათში ეს მხეცი!—მიუბრუნდა უფროსი სალდათებს.

ერთმა უნტერ-აფიცერმა შეუმჩნევლად გადიწერა პირჯვარი, კედელ-კედელ წავიდა, უცბად დაღუნა თავი და ტუსაღს ელვასავით ეცა. მოქნეული ფიცარი კარებს მოხვდა.

ყველაფერი აირია. რამდენიმე წუთის განმავლობაში ლურსმიანი წაღებით და მუშტით ჰქელეს წაქცეული უსტინოვსკი.

— შეჰკარით ახლა და წამოიყვანეთ!—სთქვა ბოლოს უფროსმა და კარში გამოვიდა.

ხელებ-გაკრული უსტინოვსკი გაიყვანეს და ასი როზგი დაჰკრეს.

კრინტიც არ დაუძრავს, არც როზგის წინად და არც შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. უკან კარცერში რომ დააბრუნეს, ორი დღე და ღამე საწოლზე პირქვე ეგდო, არც უსვამს, არც უჭამია. შემდეგ გამოუშვეს და ეს ისტორია ამით გათავდა.

ბევრი ლაპარაკი და მითქმა მოთქმა იყო როგორც აფიცრებსა, ისე უნტერ-აფიცრებსა და ტუსაღთა შორის, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და დისციპლინარულ ბატალიონის ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა.

მას შემდეგ უსტინოვსკი გამოიცვალა. სამსახურს ავტომატიურად ასრულებდა. სხვები რომ ცდილობდნენ, შენიშვნა, ან ლანძღვა არ მიეღოთ, ის არაფერს ერიდებოდა.

უნტერ-აფიცრები თოფის ვარჯიშობას, სიარულს მიხვრა-მოხვრას უსწორებდნენ, ასწავლიდნენ, მაგრამ უსტინოვსკი სწავლას არც უმატებდა არც აკლებდა. დისციპლინაზედაც აიღო ხელი, „ჩესტს“ აღარავის არ უკეთებდა, კითხვაზე პასუხს აღარავის აძლევდა. უსულო მანქანად იქცა, რომელიც მექანიზმით ადამიანს მოხმარება შეუძლიან, მაგრამ სულს კი ვერ შთაბერავს.

უნტერ-აფიცრები აგინებდნენ, აბეზღებდნენ. უფროსები კარცერში სვამდნენ, ერთხელ კიდევ დაჰკრეს 15 როზგი, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა.

მალე ამხანაგებმაც გაანებეს თავი და აღარც აღარაფერს ჰკითხავდნენ. გახედავდნენ ცერად, ან მიმავალს თვალს გააყოლებდნენ და თავს გააქნევდნენ ხოლმე.—წავიდა მაგის საქმე!—ამბობდნენ სალდათები და მწარედ ოხრავდნენ.

ზოგი ამბობდა, ჭკუაზე შესცდაო, ზოგი ხალხისა სცხვენიაო, ზოგი—დამცირება ვერ მოუნელებიაო, ზოგი თავს დააქნევდა და იწინასწარმეტყველებდა: ნახავთ, მაგან რა ჩაიდინოსო!

გავიდა რამდენიმე თვე. უსტინოვსკის დარჩა სულ ორი კვირა, სასჯელის ვადას ათავებდა; მაგრამ იმას არაფერი დასტყობია. მასთან ერთად ვისაც ანთავისუფლებდნენ, სახლში წასასვლელად მზადდებოდნენ, იკერებდნენ, ირეცხდნენ, გაბრწყინვალებულის სახეებით დადიოდნენ. უსტინოვსკი კი ისევ ისე მოღუშული სახით დადიოდა, ხმას არავის სცემდა და თითქოს იქ

რომ მისთვის ხშირად სულ ერთი იყო, მთავრობის სათავეში ვინ იქმნებოდა დაყენებული.

მეცხრამეტე საუკუნემ ამ მხრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილება შემოიტანა,—მიმოსვლის და აზრთა მიმოცვლის გაადვილებამ სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი ეკონომიურად ერთმანეთში დაუკავშირა და ახალ აზრების გავრცელება სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებში გააადვილა. ეკონომიურმა განვითარებამ წვრილი წარმოება მოსპო და მსხვილ წარმოებასთან ერთად შემოიტანა საზოგადო ცხოვრებაშიაც ზოგიერთი ისეთი ცვლილება, რომელიც ცენტრალურ მთავრობის არსებობასაც ხალხის სურვილზე დამოკიდებულად ხდიდა. ყოველი ადამიანი ახლა თავის თავს პოლიტიკურად და ეკონომიურად უფრო დამოკიდებულად სთვლის, ვიდრე წინანდელ დროში, ათასგვარ ძაფით გადაბმულია იგი სახელმწიფოს სხვა კუთხეში მცხოვრებლებზედაც კი, და სადმე შორს, მეორე სახელმწიფოში მომხდარი რამე ცვლილებაც მისთვის შეუმჩნეველი არა რჩება. ამას, რასაკვირველია, ხალხის პოლიტიკური გამოფხიზლებაც მოჰყვებოდა და პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში გარევის სურვილი, რომლის განხორციელებასაც ყველას უქადოდა საფრანგეთის რევოლუცია. უწინ პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე მდგარი ხალხი, ახლა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მოითხოვს და, სადაც მას ამ მონაწილეობას არ ანიჭებენ, ბრძოლასაც არ ერიდება.

ეს ბრძოლა,—აშკარა ბრძოლა, ქუჩის ბრძოლაა. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ხალხი მთავრობას და მმართველ წრეების მომხრე ჯარებს შეებრძოლა და, თუმცა ეს შებრძოლება ყველგან ხალხის გამარჯვებით არ დასრულებულა, მაგრამ ყველგან ხალხს მიენიჭა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობა. ეს მონაწილეობა სრული არ იყო, ყველგან პოლიტიკური უფლება შერჩა ეკონომიურად უფრო ძლიერ წრეებს,—ეკონომიურად უძლურნი განზე დატოვებულნი შეიქმნენ.

ამნაირი წესწყობილება ხალხის უმეტესობას რომ ვერ დააკმაყოფილებდა, ყველასთვის ცხადია, მით უფრო, რადგანაც ახლა პოლიტიკურ ძალას მეტი მნიშვნელობა მიეცა, ვიდრე წინანდელ დროში ჰქონია. ახლა ერთი ფეხის გადადგმა აღარ შეუძლია ადამიანს ისე, რომ სახელმწიფოს მოხელეს არ შეხვდეს, რომ სახელმწიფო რომელიმე დაწესებულებაზე დამოკიდებული არ იყოს. დაბადებიდან დაწყებული საკვდილის ჟამამდე ადამიანი სახელმწიფოსთან შეკავშირებულია, თვით მისი ეკონომიური ცხოვრებაც დამოკიდებულია სახელმწიფოს ამა თუ იმ პოლიტიკაზე.

ამიტომ საკვირველი არ არის, თუ დღესაც ხალხი იბრძვის იმისთვის, რომ ყველას ჰქონდეს მინიჭებული მონაწილეობა სახელმწიფო მართვასა და გამგეობაში, რომ ყველა უღარიბესი ადამიანიც სახელმწიფოს სრულ უფლებიან წევრად იყოს ცნობილი, მაგრამ დღევანდელ ბრძოლას, წინანდელთან შედარებით, განსხვავებული ხასიათი მიეცა,—უწინ თუ ხალხი ქუჩაში გადიოდა ჯარებთან ბრძოლის დასაწყებად, დღეს იგი ცდილობს სხვა საშუალებით დაიმორჩილოს მასზე გაბატონებული მთავრობა, იმ იარაღით, რომლითაც ბრძოლა მას უფრო მეტ გამარჯვებას უქადის,—ეს არის გაფიცვა.

გაფიცვა ეკონომიურ ცხოვრებაში, მუშა ხალხის ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უკვე დიდი ხნის შემოსულია, მაგრამ გაფიცვა პოლიტიკური მთავრობასთან საბრძოლველად—ახალი საქმეა. გაფიცვით სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების შეწყვეტა და ამითი მთავრობის ან მმართველ წრეების დამორჩილება, გამარჯვების მოპოვება სისხლ დაუღვრელად ამ საშუალებით,—ეს ისეთი წარმტაცი აზრია, რომ საზღვარ გარეთ ზოგიერთი საპოლიტიკო მოღვაწე გადაჭრით ამბობს,—პოლიტიკური საერთო გაფიცვა ერთად-ერთი საშუალებაა სახელმწიფოს საკითხის მშვიდობიანად გადასაწყვეტადო. ამ აზრს ადგია, მაგ., ცნობილი მწერალი ქალი ჰენრიეტა როლანდ-პოლსტი, რომელმაც წრეულს დრეზდენში ცალკე წიგნიც გამოსცა სათაურით: „სოციალ-დემოკრატია და საერთო გაფიცვა".

„პოლიტიკური გაფიცვა ხალხის საერთო აჯანყებაა,—სწერს იგი,—სახელმწიფოს მიყრუებულ კუთხეებშიაც ადვილად დაიწყება იგი, მღელვარება მთელ სახელმწიფოს მუშა კლასს ედება, ყველგან დარღვეულია მყუდროება, ყველგან შემოდის შიშიანობა...

„მიმოსვლა რკინის გზით შესწყდება, და ცენტრალისტური სახელმწიფო ირღვევა. სახელმწიფოს ყოველი ნაწილი სხვებისაგან მოწყვეტილი რჩება, და ამიტომ მთავრობის განკარგულების ყველგან ერთნაირი ასრულება ხდება შეუძლებელი". ამიტომ, პოლსტის აზრით, პროლეტარიატმა უნდა ისურვოს და პოლიტიკური საერთო გაფიცვა ბრძოლის იარაღად მიიღოს. რისი უნდა ეფიქრებოდეს,—საჭმელი არ გამოლევა, რადგანაც სახელმწიფოში ყოველთვის საკმარისი საქონელია დამზადებული, პური თუ არ იქმნა, ბრინჯსა სჭამს—მთავრობა კი ძალას ვერ იხმარს გაფიცულ ხალხზე, რადგანაც ისინი ეცდებიან ყოველივე შეტაკებას მოერიდონ და მთავრობას საბაბი არ მისცენ, იარაღი იხმაროს ხალხის საწინააღმდეგოდ.

ამ აზრის წინააღმდეგ ამხედრდა გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთი ნაწილი. ცნობილი მწერალი ვოლფგანგ ჰეინე ამის შესახებ სწერს, რომ პოლსტი ნამეტან თეორიულად მსჯელობს და ივიწყებს, რომ ყველგან, ყველა სახელმწიფოში ერთი და იგივე ბრძოლის საშუალება არ გამოდგება, რომ საერთო გაფიცვა მხოლოდ იქ მოახერხებს დასახულ მიზნის მიღწევას, სადაც ცენტრალური მთავრობა სუსტია და სადაც არსებული წყობილება ყველას თანასწორად აწუხებს.

შეიძლება, ბრძოლის რომელიმე საშუალება სასარგებლოდ და თეორიულად სასურველად მიიჩნიოს ადამიანმა, მაგრამ საქმით კი, ცხოვრებაში ეს საშუალება გამოუდეგარი გამოდგეს. გერმანიაში, მაგ., ჰეინეს აზრით, საერთო გაფიცვა მოსახერხებელი არ არის, რადგანაც მუშათა კლასის უმეტესი ნაწილიც კი ამ გაფიცვას მხარს არ მისცემს და არ მოისურვებს აშკარა ბრძოლის სახიფათო გზაზე დადგომას; საბუთად მას ის გარემოებაც მოჰყავს, რომ გერმანიაში რეიხსტაგის ზოგიერთ წევრის ხელმეორედ არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატთა დიდი ნაწილი საჭიროდ არა სთვლის იმდენად შეიწუხოს თავი საპარტიო საქმის გულისთვის, რომ ორჯელ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ამით თავისი პარტია გააძლიეროს.

თუ არის რამე სანოვაგე და საქონელი, ზედმეტად დამზადებული სახელმწიფოში, ეს სანოვაგე ვაჭრების საწყობებშია და არა მუშების სახლში, და ვაჭრები ამ სანოვაგეს მუქთად არავის არ დაუთმობენო,—და პარტიამ თავიანთ წევრებს ფულიც რომ დაურიგოს მის საყიდლად, ამითი მუშები გერმანიაში ვერაფერს გახდებიანო, რადგანაც, ჰეინეს გამოანგარიშებით, პარტიას შეუძლია თითო მუშას დახმარებად მისცეს არა უმეტეს 6 ან 7 მანეთისა, და ეს ფული ხსენებული მიზნისთვის, ხალხის გამოსაკვებად, არა კმარა.

ტყუილია, ჰეინეს აზრით, იმის იმედიც, რომ ჯარი მხარს არ დაუჭერს გაბატონებულ კლასებს გერმანიაში და სისხლის ღვრას მოერიდება. ჯარებში ჯერ კიდევ მაგრად ფეხმოკიდებულია წესიერების გრძნობა, მათ ჯერ კიდევ თავის უდიდეს მოვალეობად მიაჩნიათ წესიერების აღდგენა, და ამიტომ, ყოველივე შეტაკების დროს, ისინი ყოველთვის ეცდებიან შეასრულონ თავიანთი „მოვალეობა". მთავრობას კი ყოველთვის შეეძლება შეტაკება გამოიწვიოს.

მართალია, ამბობს ჰეინე, ზოგიერთი იცხადებს, იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჯარები არ მოისურვებენ ხალხის დახოცვას და ხალხს არ ესვრიანო, მაგრამ საკვირველია მებრძოლმა ელემენტებმა მოწინააღმდეგეს გულკეთილობაზე დაამყარონ გამარჯვების იმედი; ეს ხომ წყალობა იქნება და არა ბრძოლით მოპოვებული უფლება.

პოლიტიკურ საერთო გაფიცვას გერმანიაში უთუოდ მოჰყვება ქუჩებში ჯარებთან შეტაკება, და რომ ამ შეტაკებაში ხალხი დამარცხებული დარჩება, ამბობს ჰეინე, ამაში ეჭვსაც ვერავინ ვერ შემოიტანს. ამიტომ გერმანიაში ამნაირ საერთო გაფიცვას ამ ჟამად მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დასუსტება მოჰყვება. ამ დამარცხებას ხელს შეუწყობს სხვა პარტიების სიძლიერე და შეკავშირება, ამ პარტიების საწინააღმდეგოდ დაწყებულ საერთო გაფიცვაში ისინი მებრძოლ ელემენტებად გამოვლენ და დღესდღეობით გაიმარჯვებენ. ხალხის წაქეზება, ლამაზ სიტყვებით საოცნებო მომავლის დახატვა—ადვილი არის, ამბობს იგივე მწერალი: უფრო ძნელია თვალის ახელა და უსიამოვნო სინამდვილის დანახვა.

მხოლოდ იქ, სადაც ხალხის უმეტესობა და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელნი საერთო მიზნით გატაცებულნი არიან, სადაც სხვადასხვა კლასი ერთმანეთს ხელს უწვდის საერთო მტრის დასამარცხებლად, შესაძლებელი ხდება პოლიტიკურ საერთო გაფიცვით მიზნის მიღწევა და ისიც იქ, სადაც ცენტრალური მთავრობა ღონე-მიხდილი და გავლენას მოკლებულია: საერთო გაფიცვის დროს პარტიულ განხეთქილების გაწვავება ხელს უშლის მიზნის მიღწევას და შეუძლებლად ხდის მებრძოლ ელემენტების გამარჯვებას.

—*

ყოფნს არაფრადაც არ აგდებდა. იგი უფრო გახდა, წელში მოიკაკვა, თვალები მოერღვა, ლოყები ჩაუცვივდა და სახეზე მკრთალი ფერი დაედო.

გაზაფხულის დღე იდგა. ცა მოკრიალებულ-მოწმენდილი იყო და ახლად აბიბინებულ ნორჩ ბალახს მზის სხივები მხიარულად მოსდებოდა. ხარობდა ბუნება, ხარობდა ყოველი სულდგმული. იქ, გარედ, სოფლელები მხიარულის გულით მინდვრებში სამუშაოდ მიეჩქარებოდნენ, უამინდობის გამო ბოსლებში გამომწყვდეული საქონელი, მზის თბილი სხივებით დამტკბარი, ზლაზვნით მინდორში დაიარებოდა და მწვანე ბალახს ხარბად სძოვდა. ბელურა ჩიტები ჟივილ-ხივილით მარდად დაჰფრინავდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, ცელქობდნენ, ჩხუბობდნენ, საჭმელს ეძებდნენ.

ბატალიონში გახურებული „მუშაობა" იყო. სალდათებს წინ და უკან სიარულით შუბლზე ხვითქი გადასდიოდათ. უნტერ-აფიცრები ერთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და გაწითლებულისა სახით და აღშფოთებულის ხმით წამდაუწუმ გაიძახოდნენ:

— разъ, два; разъ, два тверже ногу... равняйсь.., разъ, два; разъ, два.

ბატალიონის დიდი ეზო მეფენილი იყო სალდათების ჯგუფებით. ერთს ჯგუფში უსტინოვსკიც ერია. ის უნტერ-აფიცრის ყვირილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ტანში მოშვებული, უგულოდ დაიარებოდა. მთელს როტაში, რომელიც სწავლის დროს ერთ კედელსა ჰგავს, როდესაც დადის, ან თოფით ვარჯიშობს ერთს სულდგმულს წარმოადგენს, უსტინოვსკი ერჩეოდა და სურათს აფუჭებდა, რადგან ამხანაგებს არ უყურებდა და ისე არ იქცეოდა, როგორც წესი იყო.

უნტერ აფიცერმა ბევრი აგინა, ლანძღა, ბოლოს მივიდა როტის უფროსთან, რომელიც მოშორებით იდგა და უსტინოვსკი დააბეზღა.

უფროსი როტას მიუახლოვდა და უსტინოვსკის წინ გაჩერდა.

— შენ, როგორც გეტყობა—უთხრა უფროსმა სასტიკის ხმით—აქედან სახლში კი არა, ციმბირში გინდა წასვლა?!

— ჩემთვის სულ ერთია, საცა წავალ, ციმბირში თუ სახლში—მიუგო მწარედ უსტინოვსკიმ.

— ვიცი, ვიცი, რომ სულ ერთია—გესლიანად უთხრა უფროსმა—შენთვის კატორღა და პატიოსანი ოჯახი ერთმანეთისგან არაფრით განირჩევა.

— დიახ, მართალი ხართ, არაფრით განირჩევა, მაგრამ იყო დრო, როდესაც განირჩეოდა!—უსტინოვსკის თვალები აემღვრა და ტანჯულ სახეზე ცრემლები გადმოსცვივდა.

— მერე, ვისი ბრალია?!

— თქვენი!..—მტკიცედ წარმოსთქვა ტუსაღმა.

— რაო? როგორ ბედავ, ჩემთან მაგრე ლაპარაკს, შე...!

უსტინოვსკი წელში გასწორდა და უფროსს დააცქერდა.

— კიდევ ბედავ შენ ლაპარაკს!—ცოფებს ჰყრიდა უფროსი და უსტინოვსკისკენ იწევდა—როზგმა ვერ გაგასწორა? დაგავიწყდა როზგი? დაგავიწყდა?

— არ დამავიწყდა, არც დამავიწყდება!—ჩურჩულით წარმოსთქვა უსტინოვსკიმ და მისმა ფიგურამ ისევ ის შეხედულობა მიიღო, როგორც იქ, კარცერში.

როტის უფროსი თვალებში ჩააცქერდა, შემდეგ უკან დაიხია და აკანკალებულის ხმით დაიძახა:

— დაიჭირეთ!..

მაგრამ გვიანღა იყო. ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. შუბით განგმირული, უფროსი წელში გადიზნიქა, ხელები მაღლა აიშვირა და გადავარდა.

უსტინოვსკიმ უცბად გამოაძრო შუბი და უნტერ-აფიცერს შეხედა... საზარელი სანახავი იყო. ყველას თავზარი დაეცა.

უნტერ-აფიცერი შეკრთა, აქეთ-იქით მიიხედა და გაიქცა. უსტინოვსკი თოფით უკან გამოეკიდა.

უნტერ-აფიცერმა მოიხედა, შეჩერდა და აკანკალებულის ხელით ესროლა, გაიქცა, კიდევ შეჩერდა კიდევ ესროლა, მაგრამ ვერც ერთი ტყვია ვერ მოარტყა.

აფიცრები და უნტერ-აფიცრები იდგნენ გაშეშებულნი და ხან მიწაზე გაშხლართულ აფიცერს უყურებდნენ, ხან გაქცეულებს.

ერთი-ორი ნაბიჯი კიდევ და უსტინოვსკი დაუახლოვდებოდა უნტერ-აფიცერს, მაგრამ უცბად რაღაცას ფეხი წამოჰკრა და დაეცა.

როდესაც წამოვარდა, უნტერ-აფიცერი უკვე შორს იყო. უსტინოვსკი გაჩერდა, ხეს თოფი კონდახით შემოჰკრა, შუაზე გადატეხა, შემდეგ ხელები მაღლა ასწია და დაიძახა:

— შემკარით!...

უსტინოვსკი შეჰკრეს.

ხვ. ყიფიანი.

მიტინგი ცხინვალში

პარასკევს, 11 ნოემბერს, დაბა ცხინვალში მოწვეულ იქმნა ,,გორის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფისაგან" სარაიონო მიტინგი. მიტინგს დაესწრო 6 საზოგადოება: ცხინვალისა, დიცისა, ვანათისა, აჩაბეთისა, შინდისისა და წუნარისა. მიტინგზე დამსწრეთა რიცხვი შვიდიათასს აღემატებოდა. დიდებულ სურათს წარმოადგენდა სხვადასხვა საზოგადოებიდან ხალხის წითელი დროშებით და რევოლუციონურ სიმღერებით ცხინვალში შეყრა... ხალხი ,,გაუმარჯოს" ძახილით და განუსაზღვრელის აღტაცებით ულოცავდა ერთმანეთს ამ თავისუფლების დღესასწაულს. ცხინვალიდან ხალხი დროშებით და რევოლუციონურ სიმღერებით გაემგზავრა ს. დგვრისისკენ, სადაც მიტინგისთვის ალაგი წინდაწინვე იყო დანიშნული. აქ ცხინვალიდან მომავალ ხალხს წინ შეხვდა აჩაბეთის საზოგადოებიდან დემონსტრატიულად მომავალი ხალხი წითელი ბაირაღებით და სიმღერებით. მიტინგმა თავმჯდომარედ აირჩია გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი, რომელმაც მოკლეთ აუხსნა ხალხს მიტინგის მნიშვნელობა და აღნიშნა მიტინგის სალაპარაკო ტემები. მიტინგის უმთავრეს ტემას შეადგენდა 17 ოქტომბრის მანიფესტი საზოგადოდ და კერძოდ ვიტტეს მთავრობა და მისი დღევანდელი პოლიტიკა. ამ საერთო ტემების გარდა იყო კერძო ტემებიც, რომლებზედაც მიტინგმა თავისი რეზოლუციები გამოიტანა.

კრება დაიწყო დღის 12 საათზე. მიტინგზე უმთავრესად პარტიის ორატორები ლაპარაკობდენ, ილაპარაკეს არა პარტიიდანაც. ორატორებმა სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს 17 ოქტომბრის მანიფესტი, დაჰგმეს და ზიზღი გამოუცხადეს ვიტტეს პოლიტიკას, რომელმაც ქაღალდზე მოცემული თავისუფლება საქმით უკან წაიღო.

მიტინგმა შეიმუშავა და ერთ ხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუციები: 1) გამოეცხადოს პროტესტი და ზიზღი ვიტტეს მთავრობას და მოთხოვნილ იქმნას დაუყოვნებლივ გაუქმება საომარ და გაძლიერებულ დროის წესებისა.

შემდეგ ორატორები გადავიდენ კერძო ტემებზე. ერთი ორატორი შეეხო ქართლში ყოფილ რეაქციას, წყევლა-კრულვით მოიხსენია ყველა ისინი, ვინც ამ რეაქციას ხელმძღვანელობდა და სულს უდგამდა, ნათლად დახატა ეკზეკუციებისაგან აოხრებულ სოფლების მდგომარეობა და სიტყვა ასე დაამთავრა: ,,მთავრობამ, როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვატყუა. მიუხედავად იმისა, რომ ორ ნოემბერს, ნამესტნიკის ბრძანებით, ეკზეკუციები დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყვნენ გაყვანილი ქართლის სოფლებიდან, ისინი დღესაც ისევ სოფლებში არიან და იმათ ღვთისწახნილ თარეშს საზღვარი არა აქვს. მაგალითად ს. ტირძნისში, 7 ნოემბერს, ცნობილ სულხანიშვილის სახლის დამცველი დრაგუნები მიეჭრენ და მოჰკლეს ორი ადგილობრივი გლეხი, იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელები, ტყიდან დაბრუნებულნი, დაღალულ-დაქანცულნი თავის სახლის დერეფანში პურსა სჭამდენ. ს. ფხვენისში, 8 ნოემბერს, ეგზეკუციად მდგომმა დრაგუნთა აფიცერმა ბ-ნმა პაც—პან ვარნაცკიმ *) შემდეგი წინადადება მისცა გლეხებს: მომეცით 230 მან. 50 კაპ. და ეკზეკუციას აგხსნითო. გაყვლეფილმა გლეხებმა ისევ ფულის გადახდა არჩიეს. მისცეს 230 მ. 50 კაპ. გამარჯვებულმა, გალაღებულმა გმირმა ფულიც აღარ იკმარა და წასვლის დროს თავის მონა დრაგუნის სალდათებს აუარებელი ინდაური, ბატი და ქათამი დაახოცინა საგზაოდ და, ასე გასინჯეთ, ნათხოვარი ლოგინებიც კი აღარ დაუბრუნა პატრონებს. ყველა ამ ფაქტებმა ხალხი აღელვა და მიტინგმა ერთხმად შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: ა) ,,დაინიშნოს სასტიკი გამოძიება ს. ტირძნისში დახოცილ გლეხთა საქმის გამოსარკვევად; ბ) დაუბრუნდეს ს. ფხვენს 230 მ. და 50 კ. კერძოდ და საზოგადოდ ხაზინამ უზღოს ყოველ სოფელს ის ზარალი, რაც ორ ნოემბრის შემდეგ ეკზეკუციებმა მიაყენეს. გ) დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი მაზრიდან კაზაკები, სტრაჟნიკები, დრაგუნები და სოფლებიდან ქვეითა ჯარი".

მეორე ორატორი შეეხო შავ რაზმებს. „შავი რაზმები, როგორც სხვაგან, აგრეთვე ჩვენში შემდგარია პოლიციის ხელმძღვანელობით, პოლიციავე ხელს უწყობს შავი რაზმის თარეშს, ის აქტიურ მონაწილეობას იღებს შავ რაზმებთან ერთად ხალხის ძარცვა-რბევაში და განმათავისუფლებელ მოძრაობის მომხრეთა ამოჟლეტაში".

მიტინგმა ორატორთან ერთად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „გამოეცხადოს ზიზღი და პროტესტი შავ რაზმებს და იმ მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს მათ და მოვითხოვთ ხალხის თავისუფალი შეიარაღება, ხალხის მილიცია თავის არსებობის დასაცველად". მესამე ორატორი შეეხო ძველი მთავრობის მოხელეებს, ორატორმა მჭერმეტყველურათ დაახასიათა წარსული და აწმყო რეჟიმი და სიტყვა ასე დაამთავრა: „ძველ, გაურეცხავ ქვევრში, რომ ახალი ღვინო ჩაასხათ იგი დაჭანგდება და სასმელათ აღარ გამოდგება, ასევე ითქმის ძველი მთავრობის მოხელეებზე, რომელნიც შეცვლილ პოლიტიკურ პირობებს აღარ შეესაბამებიან, რის გამო მათი სამსახურიდან გადაყენება აუცილებელია". მიტინგმა ორატორთან ერთად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:—„დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქმნან ძველი მთავრობის და პოლიციის ყველა მოხელენი და სამართალში იქმნენ მიცემულნი ყველა ის მოხელენი, რომელთაც ყოფილ რეჟიმის ერთგულებით თავის მოვალეობას გადააჭარბებს".

მეოთხე ორატორი შეეხო ძველი მთავრობის დაწესებულებებს, დაასაბუთა მათი უვარგისობა და აღიარა ბოიკოტის განგრძობა და გაძლიერება მის წინააღმდეგ ხალხისაგან საერთო, საარჩევნო ხმით შემდგარ დაწესებულებათა გაფართოვებით და განმტკიცებით.

ლოზუნგი: ძირს ძველი მთავრობის დაწესებულებანი, გაუმარჯოს ხალხის ფართო თვითმართველობას, როგორც მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკის რეალურ საფუძველს.

მეხუთე ორატორი შეეხო 21 ოქტომბრის ფართო შეკვეცილ ამნისტიას და მიტინგმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „სრული ამნისტია ყველა პოლიტიკურ თავისუფლებისთვის მებრძოლთ".

მიტინგი გათავდა საღამოს 5 საათზე. ხალხი მიტინგიდან დემონსტრატიულად გამოემგზავრა ცხინვალისკენ,—გზაში მრავალი ცხარე და გრძნობით სავსე სიტყვები წარმოითქვა.

უწესოება არსად მომხდარა.

წეს-რიგს თვითონ ხალხი იცავდა.

დამსწრე.

კორესპონდენცია

გორი. გორის მაზრის სოფ. უფლისციხისა, ქვახრელისა, მეტეხისა, დოესისა, ყარაღაჯისა, ხოვლესა, ზემოხანდაკისა, სასირეთისა, ახალქალაქისა, ახალციხისა, კავთისხევისა და წინარეხის მცხოვრებლები, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, შეიკრიბნენ სხვადასხვა ადგილას და მიტინგები გამართეს.

ამ მიტინგზე ხალხმა დაადგინა:

1) დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და საიდუმლო კენჭის ყრით.

2) მოეხსნას საომარი წესები მთელ რუსეთთან ერთად პოლონეთსაც და კავკასიის ყველა კუთხეებიდან გაყვანილ იქმნას „ეკზეკუციათ" ჩამოყვანებული კაზაკთა და დრაგუნთა ჯარები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გასულან გორისა და დუშეთის მაზრის ზოგიერთ ადგილებიდან. აგრეთვე ჩამოეხსნას „შავრაზმელებ"-ს იარაღი და გადაეცეს ხალხს თავის დასაცველად.

3) განხორციელებულ იქმნას სოც.-დემოკრატთა პროგრამა—მინიმუმი, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

4) დაწესდეს სალდათთა სამსახურის დრო—2 წელიწადი. სალდათს დაენიშნოს თვეში—5 მ., მიეცეს მათ სუფთა ბინა, ტანისამოსელ-ფეხსაცმელი, მიეცეთ თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და სამსახურის დასასრულს მიეცეს ჯამაგირიანი ადგილი თვეში არა ნაკლებ 25 მანეთისა.

5) განთავისუფლებულ იქმნას ყველა ისინი, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან, განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის.

დ. ი. შოველი.

---

*) ეს ის სახელოვანი კორნეტი პან ვარნაცკი ბრძანდება, რომლის სახელს მუდამ ზიზღით და შეჩვენებით მოიხსენებენ ქართლის სოფლები. ს. შინდისში მან პირველმა აღადგინა მკვდრეთით საშუალო საუკუნეთა ინკვიზიცია. ეს ვაჟ ბატონი, ს. შინდისში, ეკზეკუციად ყოფნის დროს, საღამოებით გლეხებს ერთ ალაგას უყრიდა თავს, შერეკდა ყველას იქვე ახლო დაგუბებულ ცივ წყალში და გათენებამდის ასე ჰყავდა, გარეშემო შეიარაღებულ დრაგუნებით ალყა შემორტყმული. და იმ დროს, როდესაც გლეხები აქ სიცივით ცახცახებდნენ, სალდათები გლეხთა ოჯახებში, პან ვარაცკის ბრძანებით, თავისუფლად დათარეშობდენ, იკლებდენ იქაურობას, აუპატიურებდენ ქალებს...

ბიბლიოგრაფია

ჯუზეპე გარიბალდი, თხ. ივანე გომართელისა, გამოცემა „სხივის" ამხანაგობისა, ფასი ორი შაური.

უნდა გვეფიქრა, რომ საერთო გამოღვიძებას, ხალხის მძლავრ მოძრაობას მოჰყვებოდა შესაფერი გამოფხიზლება ჩვენს ლიტერატურაშიაც. თუ აქამდის ნაკლებ ეტყობოდა ჩვენს მწერლობას სიცოცხლე და ძლიერება, ახლა მაინც ხალხის მოძრაობას აღარ უნდა ჩამორჩეს და გამოფხიზლებულ საზოგადოებას შესაფერი გონებრივი მასალა უნდა მიაწოდოს. სამწუხაროდ, ჩვენში თითქმის სულ შეჩერებულია წიგნების გამოცემის საქმე. მთელი თვეები გადის და ერთი ხეირიანი წიგნი არ ჩნდება. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა და მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

დღეს ჩვენ წინ დევს ლამაზად გამოცემული ჯუზეპე გარიბალდის ცხოვრების აღწერა. ეს აღწერა ეკუთვნის ივ. გომართელის კალამს. ავტორი ცნობილია ჩვენში, როგორც ნიჭიერი ლიტერატორი. ეს წიგნაკიც თავიდან ბოლომდე მშვენივრად არის დაწერილი, სადა და მკაფიო ენით. მას ხალისით წაიკითხავს ყოველი მკითხველი. წიგნაკის ნაკლად მხოლოდ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ მასში არაა გამორკვეული გარიბალდის სოციალური იდეალები. ის თუ ყოველთვის მზად იყო მიშველებოდა განსაცდელში მყოფ ქვეყნებს, იცავდა რესპუბლიკელებს,—არა იმიტომ, რომ საზოგადოდ იგი ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში დაჩაგრულთა დაცვის რაინდულ გრძნობით, არა, ის იყო ნამდვილი დემოკრატი, ხალხის მომხრე, საფრანგეთის კომუნის თანამგრძნობი და სწორედ ამის გამო თავგამოდებით იბრძოდა ყოველ ჩაგრულ ხალხის განსათავისუფლებლად.

მ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

როიალები, პიანინო, ფისგარმონები.

გიტარები, გრამოფონები, ფლეიტები, სიმები, კლარნეტები და სხ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.

მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ

კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ

Б. М. МИРИМАНІАНЪ.

Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.

(25—6.—10)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კოჯრისა და ბებუთოვის ქუჩაზე (მე-4 საპ. ნაწ.) კანალიზაციის გასაკეთებლად. უნდა გაკეთდეს 98 საჟ. ბეტონის მილი, სისქით, 0,25×0,16 და სამი ჭა.

წერილობით განცხადება ფასების აღნიშვნით წარმოდგენილ უნდა იქმნას 23 ნოემბრისათვის.

მსურველთ დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, 1—2 საათამდე, საქმე № 22/1905. (3—2).

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 ნოემბერს.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.